# მწყემსი

Библиотека-Музей имени Акад. И. Грушевского Академия

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 1—2 1883—1904 15—30 იანვარი

შინაარსი:

**სალიტერატურო განყოფილება:** ეხლა კი დროა ყურადღება მივაქციოთ და ჯეროვანი საშვალება ვიხმაროთ, დეკ. დ ღამბაშიძის.—იმერეთის ეპარქიის საძღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15 დეკემბერს 1903 წელს, დამსწრესი.—საყურადღებო წვრილმანი, პატარა კაცის.—წმ. ნინოს დღესასწაული კავკავში, მთავარ-დიაკ. ბ. ღუდუშაურის.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა** და **ქეთილ-ზნეობაზე:** მოძღვრება, წმ. ნინოს დღეს, წარმოთქმული ქ. ქუთაისის სამრევლო სასწავლებელთა მოწაფეების შეკრებილების წინაშე, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის-მიერ.—ცხოვრება წმიდათაშორის მამისა ჩვენისა ნიკოლოზ საკვირველი მოქმედისა, მღ. ბ. კაპანაძის.—საუბარი დაბადებიდან, ს. გორგაძის.—მოძღვრება, თქმული წ. ნინოს დღეობის დაისად, ლეონიდის მიერ.—საეკლეო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.—საჭირო კალენდარული ცნობანი.—განცხადებანი.

## ეხლა კი დროა ყურადღება მივაქციოთ და ჯეროვანი საშუალება ვიხმაროთ.

ოც-და-ათი წლის წინედ ჩვენ ხშირად მოგვდიოდა წერილები და სტატიები ურწმუნოების და რელიგიური გულგრილობის წინააღმდეგ; ზოგიერთები თავის სტატიებში, განსაკუთრებით რუსები, დიდის ჭაპან-წყვეტით ამტკიცებდენ პირზე ჯვრის გამოსახვას სამის შეერთებულის და ორი თითის ხელის გულზე დაკეცით. არც ერთს ამისთანა სტატიებს ჩვენ ადგილს არ ვაძლევდით, რადგან ასეთი წერილები ჩვენ მორწმუნე ხალხზე ცუდ გავლენას იქონიებდენ. ერთ დროს ჩვენი ხალხის გასაფრთხილებლად ერთს საძაგელ მწვალებლების (Сектантъ) მოძღვრებისა და მოქმედების გამოქვეყნება სურდათ, იმ მწვალებლებისა, რომელნიც ღამ-ღამობით ქალიცა და კაციც ერთად იკრიბებიან და სამთლის გაქრობის შემდეგ ვინ იცის რასა შვრებიან! მადლობა ღმერთს, რომ ამ სექტანტების საქციელი აღარ გამოაცხადეს. დიად, იყო დრო, როცა საჭირო არ იყო სიტყვა და ქადაგება ურწმუნოების წინააღმდეგ. ამ დროს მოძღვრები მარტო მღვდელმოქმედებას ასრულებდენ

და დღესასწაულების ისტორიულ მოთხრობებს წარმოსთქვამდენ, თორემ სხვაზე, ჩვენში მაინც, ბევრი საზრუნავი არა იყო-რა. დღეს სულ სხვაა. წერა-კითხვა და მწიგნობრობა გავრცელდა. ჩვენ ხალხსაც მოედო, განსაკუთრებით ქალაქებში და დაბებში, როგორც გადამდები სნეულება, ურწმუნოების თესლი. ეს თესლი, რასაკვირველია, ძლიერ მწარე ნაყოფს გამოიღებს მხოლოდ მათთვის, ვის გულში და გონებაშიაც იგი დაითესება და აღმოცენდება. ამისათვის სწორედ დრო არის მწყემსთა მეტი ყურადღება მიაქციონ თავიანთ სამწყოს.

აკრძალვა ცუდი მიმართულების წიგნაკებისა და დაშლა ურწმუნოებაზე ქადაგებისა და წერისა დღევანდელ დროში ჩვენში თითქმის შეუძლებელი შეიქმნა. ცუდი შინაარსის წიგნაკების აკრძალვას დღეს სრულებით არა აქვს მოსალოდნელი შედეგი. ამისთანა მახინჯი შინაარსის წიგნაკები ჩვენს სახელმწიფოში უმეტესად მრავლდებიან, რადგან აკრძალული წიგნის წაკითხვა უფრო საინტერესოდ მიაჩნია შეუგნებელ საზოგადოებას. ამით სარგებლობენ ზოგიერთები და უმეტესად ვრცელდება საზიზღარი შინაარსის წიგნაკები სარწმუნოების შესახებ.

შემცდარ აზრად მიგვაჩნია ის, რომ ნება არავის ეძლევა დაწვლილებით გამოაშკარავოს მახინჯი მოსაზრება ზოგიერთ აღკრძალულ წიგნაკებისა და პასუხი გასცენ. უცხოეთში ყველას აქვს ნება თავისუფლად წერისა და ლაპარაკისა, ამისათვის ამისთანა აღკრძალულ წიგნაკებს არავითარი მნიშვნელობა და გასავალი არა აქვს. საჭიროა პასუხის გაცემა, სიტყვას სიტყვით, დაწერილს დაწერილით და დაბეჭდილს დაბეჭდილითვე... აბა გავსინჯოთ ჩვენ უგნურ ფილოსოფოსთა მოსაზრებანი, თუ რაზე ამყარებენ იგნი თავიანთ ურწმუნოებას.

ამბობენ ზოგიერთი ურწმუნონი, რომ სარწმუნოება ადაშიანს აძინებსო, საზოგადოების წინსვლას აბრკოლებს და კეთილ-დღეობას სპობსო.

ასეთი აზრი ამ მახინჯ მწერალთა უსუსური ბ ყოველ სიმართლეს მოკლებულია. წინააღმდეგ, ჭეშმარიტი სარწმუნოება არის საუკეთესო წყარო მოძრაობისა, პროგრესისა და კეთილდღეობისა. ჭეშმარიტი სარწმუნოება არის შემნახველი ხალხისა განხრწნისა და გაქრობისაგან. ჭეშმარიტი სარწმუნოება იცავს ხალხს გაქრობისაგან ისე, როგორცა მარილი დაიცავს ხორცს სიდამპლისაგან.

როდის და რომელი სახელმწიფოის ურწმუნო ხალხი იყო ბედნიერი და ძლიერი? რომელი ურწმუნო საზოგადოება სტკბებოდა კეთილდღეობით? რით იყო მტკიცე, ძლიერი და მტერთა თავზარდამცემი საქართველოს ხალხი მრავალ საუკუნოებში? ნუ-თუ სამღვდელოება და სარწმუნოება ხელს უშლიდენ მათ? საქართველო რა იყო სანამ ქრისტიანობას მიიღებდა? იგი ველურად სცხოვრობდა, მაგრამ ქრისტეს სარწმუნოების მიღების შემდეგ იგი შეიქმნა ბედნიერი, ძლიერი და ამ სარწმუნოების წყალობით სტკბებოდა კიდეც კეთილდღეობით. ყველა შემოსეული ხალხი ნიადაგ ცდილობდა სარწმუნოების დასუსტებას, ვინაიდგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ურწმუნო საქართველოს სრულებით ძალა მოაკლდებოდა ბ ყველას საქელად შეიქნებოდა. დღეს თუ საქართველო დასუსტებული და დაძაბუნებულია, ერთ-ერთი მიზეზი ამისი არის სარწმუნოების დაქვეითება. ამ სარწმუნოების დასუსტებით ჩვენი ახალი ურწმუნოების მოქადაგენიც ხელს უწყობენ მის სრულებით დამხობასა და განადგურებას...

ამაზედ მოგვიგებენ ზოგიერთები, რომ ეხლანდელი სამღვდელოება სრულებით არა ჰგავს ძველი დროის სამღვდელოებასაო. დავეთანხმებით ჩვენც ამ ბატონებს ბ ვიტყვით, რომ მართლაც, ეხლანდელი მღვდლები ყველა ვერ შეედრებით ძველ მღვდლებს სარწმუნოების სიმტკიცით, კეთილზნეობითა და სამწყოსოსათვის თავდაუზოგველის სამსახურით, მაგრამ ამით არავის არ აქვს ნება მთლად უარჰყოს სარწმუნოება და მხეცს მიემსგავსოს. „სთქვა უგნურმა გულსაშინა თვისსა: არა არს ღმერთი, განირყვნენ და ბილწ იქმნენ იგინი“. მღვდლის ნაკლულევანება სხვა არის და უარის ყოფა მისა რაც კაცის უძვირფასეს კუთვნილებას შეადგენს—სულ სხვა არის.

ჩვენში ზოგიერთი ურწმუნონი ვითომც თავის აზრით ჰბაძავენ უცხოეთის ხალხთა. რა უსუსურობაა!.. აბა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ უცხოეთის ხალხის ქრისტიანული სარწმუნოება. სანამ რომელიმე მთელი სახელმწიფოის ხალხის სარწმუნოებაზე ვიტყოდეთ რამეს, მოვიყვანოთ ზოგიერთი პირები, რომელთაც ჩვენი ურწმუნონიც-კი ყველაფერში აღმერთებენ და ადიდებენ. პირველი ღრმად ნასწავლი კაცი ფრანგი პასტერი ისე ძლიერად აღსავსე იყო სარწმუნოებით, რომ ყოველ მის მცნობს აკვირვებდა. შესანიშნავი და უგანათლებულესი კაცი

ინგლისელი გლადსტონი ღრმად მორწმუნე ქრისტიანე იყო და კვირა-უქმე დღეებში ყოველთვის ეკკლესიაში დადიოდა წირვა-ლოცვაზე. საზოგადოდ არა სრული განათლება და ის მახინჯი განათლება, რომლითაც აღჭურვილნი არიან ჩვენი ურწმუნო ვაჟბატონები და ბიჭ-ბუჭა მწერლები, რასაკვირველია ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან ვერ მორგდებიან ხოლმე. მაგრამ ვისაც ჭეშმარიტი განათლება მიუღია ისინი ყოველთვის ნამდვილ მორწმუნენი გამხდარან...

ახა გადავათვალიეროთ უცხოეთას სახელმწიფონი ქრისტიანულ სარწმუნოების მხრივ. რითია ინგლისის სახელმწიფო მდიდარი, ძლიერი ჯ განათლებული? განა იქ სარწმუნოება ხელს უშლის მათ განათლებას და ხალხი დაძინებულია? ავიღოთ კიდევ უგანათლებულესი და უმდიდრესი სახელმწიფო ამერიკისა. რუსეთის სახელმწიფო ხომ სამაგალითოდ მოჰყავსთ სარწმუნოების მხრით. წაიკითხეთ რუსის შესაჰნევი მწერლის სტატია და შეიტყვეთ თუ რას ამბობს იგი ამერიკელების სარწმუნოებაზე. აი ამ შესაჰნევი მწერლის აზრი:

„პროგრესისა და თავისუფლების მხარე, ამერიკა, სცხოვრობს ვრცელი, მქუხარე სიცოცხლით არა მარტო პოლიტიკურად და საზოგადოებრივად, არამედ საეკლესიო-სარწმუნოებრივ მხრითაც. გარდა ამისა, ამერიკა არის ადგილი, სადაც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ისეთი ძალა მოიპოვა ადამიანთა სულზე, როგორიც არსად არ არის მთელს ქვეყანაზედ. აქედგანაა, რომ იქ იმდენად გავრცელდა სარწმუნოებრივი მოთხოვნილება, რამდენსაც ეხლა მოკლებულია ევროპიელ ხალხთა უმეტესი ნაწილი; ამით აიხსნება ის, რომ იქ გაჩნდა, იზრდება და ვითარდება მეტად დამახასიათებელი და საგულისხმო მოვლენა—ვგულისხმობთ „სამხრეთ-ამერიკის ახალგაზრდათა ქრისტიანულ კავშირთ“, გონივრულად მოფიქრებულთა. ამ კავშირთა აქვსთ კეთილი მიზანი—მოახდინონ კრებები, გამართონ ახალგაზრდათა სხდომები ძველი და ახალი აღთქმის შესასწავლად, ლოცვებისა, გალობისა და ქადაგებათა მოსასმენად. ამ მიზნით ბევრმა ამ კავშირთაგანმა უკვე მოაწყო საკუთარი სახლი, ზოგან მეტად სრული და მშვენიერი, მდიდარი წიგნთ-საცავები, რომელნიც არა იშვიათად მხოლოდ იმ წიგნებს შეიცავენ, რომელნიც „დაბადების“ სპეციალურად შესწავლას შეეხება. გაიჩინა სკოლებიც-კი დაბადების შესასწავლად, რომლის შესწავლა ამერიკაში შეადგენს პირველ საფუძველს ყოველ სარწმუნოებრივ საქმეში. ქრისტიანულ კავშირთ გარდა, ახალ ქვეყანაში დიდი ზნეობრივი, აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს „ქრისტიანულ მოქმედებათა საზოგადოებას. არსებულ ქრისტიანულ მოქმედებათა საზოგადოებას თვითოეული ნამდვილი წევრი აძლევს აღთქმას: 1) ყოველ დღე ილოცოს და ყოველ დღე იკითხოს თავისი დაბადება. 2) მიიღოს მონაწილეობა ყოველ საკვირაო წირვა-ლოცვაში, გარდა ზოგშემთხვევათა, რომელნიც ჩვეულებრივ წესს გარეშე არიან; 3) დაესწროს (გარდა იმავე შემთხვევათა) საზოგადოების ყოველ კრებას, და არა მარტო დაესწრონ, არამედ მიიღონ მათში მოქმედებრივი მონაწილეობა (ლოცვები, საუბრები და სხვ.). ქრისტიანულნი კავშირნი ახალგაზრდათა, რომელსაც ასი ათასობით ჰყავთ წევრები, და ქრისტიანულ მოქმედებათა საზოგადოებანი, რომელთაგან „ბავშვთა შემწეობის საზოგადოება“ რამოდენიმე ასი ათასი წევრისაგან შესდგება, ხოლო „საზოგადოება ქალთა ქრისტიანულ კავშირისა ლოთობასთან საბრძოლველად“ ითვლის კიდევ უფრო მეტ წევრებს,—ესაა ადგილობრივ ეკკლესიების ყოველ ცოცხალ ძალთა შეერთება სარწმუნოებრივ უვიცობის წინააღიდეგ საბრძოლველად.“

გვაცნობებს რა ხსენებულ საგულისხმო მოვლენას ამერიკელების საეკკლესიო-სარწმუნოებრივ ცხოვრებისას, რუსული ჟურნალი „სტრანნიკი“ სამართლიანად დასძენს: რამდენად უცნაურად და სამწუხაროდ გვეჩვენება ესა, მაგრამ იძულებული ვართ აღვიაროთ, რომ ჩვენს მამულში, რომელიც ბუნებრივად არის მორწმუნე და მთელი ქვეყნისათვის სარწმუნოებრივ მნათობად უნდა იყოს,—არ არის, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, არც ის სარწმუნოებრივი გრძნობის ძალა, არც ის ცხოველი სიცოცხლის გამოცხადებული მოქმედება, რომელთაც ჩვენ ამერიკელებში ვხედავთ. ჩვენ ვამბობთ ამ კავშირთა და საზოგადოებათა დაარსების შესახებ. საზოგადოებანი და წრეები საექიმო, სამათემატიკო, ისტორიული, ფილოსოფიური, ფსიხოლოგიური, ფილოლოგიური, ლიტერატურული და სხვა, არიან საზოგადოებანი სამუსიკო, სახელოვნო, მაგრამ საზოგადოებანი, ანუ კავშირნი „დაბადების“ შესწავლის მიზნისათვის—ეს პირველი და უმთავრესი,

რაც უმეტესად საჭიროა, ჩვენ არა გვაქვს. მართალია, არის საღვთის მეტყველო ნაწერები, განათლებული საზოგადოებისათვის, გვაქვს ჩვენ სარწმუნოებრივ-ზნეობითი ნაწარმოებნი, საუბრები უბრალო ხალხისთვის გარეშე წირვა-ლოცვისა, მაგრამ ესეც და ისიც მხოლოდ ქალაქებში სწარმოებს, ზოგჯერ სრულად უსისტემოდ. ამ საკითხში უფრო თავისებურია ის, რომ დრო ამ წასაკითხებისა, საუბრებისა და რეფერატებისათვის მეტად განსაზღვრულია. მათ დასაწყისს დროთ ჩვენ უნდა ჩავთვალოთ სექტემბერი, ზოგიერთ შემთხვევაში-კი ოქტომბერიც, დასასრულად—აპრილი; ასე რომ ტაძრების გარეშე ეს სარწმუნოებრივ-აღმზრდელი მოქმედება ძილს ეძლევა თითქმის წლის მთელი მეოთხედის განმავლობაში და იძინებს ზოგჯერ იმნაირ დროს, (შავ-მუშათა ეკკლესიისადმი ლტოლვილების დროს), როდესაც მეტად საჭიროა მისი განსაკუთრებითი ძალა. ეჭვი არაა, რომ ზაფხულისა და მასთან სიცხეების დამდეგს ამერიკაში ბევრი პასტორთაგანი თავისუფლებას ღებულობს და ბევრი ეკკლესია სრულიად იხურება, მაგრამ ამასთანავე იქ სარწმუნოებრივი სიცოცხლე არ სწყდება; დახშული სახლებიდგან ის გადადის გაშლილ ჰაერზე, სარწმუნოებრივ ბანაკში. იქ ტილოებისაგან კეთდება მოძრავი ტაძრები, სადაც ყოველ საღამოს იკრიბება ხალხი, რომ საღმრთო ღაღადებანი იგალობონ და ქადაგება მოისმინონ. ამ უბრალო ბანაკთა გარდა ამერიკაში იმართება ამაზე უფრო რთულიც:—შენდებიან ისინი ჩვეულებრივად ქალაქ გარედ ⁄ შესდგებიან მრავალი კარვებისაგან, რომლებშიაც მთელ ზაფხულზე ათასობით სცხოვრობს ხალხი".

„რაღა უნდა ვსთქვათ ყოველგვარ ხარისხისა და სახის ჩვენ სკოლებზე, რასაკვირველია გარდა საეკკლესიოთა, სადაც სარწმუნოებრივ-ზნეობითი აღზრდა და სწავლა, ცოტად თუ ბევრად დაყენებულია ვრცლად და რიგიანად? როგორ ასწავლიან მათში საუკუნო ცხოვრების სიტყვას? დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში მას ასწავლიან საღმრთო სჯულის გაკვეთილებზე, რომელიც უმთავრეს საგნად ითვლება. გარდა ამ გაკვეთილებისა ღია სასწავლებლის მოსწავლეთ, რომელთაც თავიანთი საკუთარი ეკკლესია არ აქვსთ, თავიანთი მშობლებისა და ნათესავების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის კეთილი და სასურველი არაა. დახურული სასწავლებლების მოსწავლეებს-კი, ნამეტურ სადაც თავისი ეკკლესიები აქვთ, შეუძლიათ შეისრულონ გაკვეთილების შემდეგ თავისუფალ დროსაც, ასე რომ ამათ უფრო შეუძლიათ ისწავლონ თავიანთ აღმზრდელთაგან, და კიდევ ეკკლესიებშიაც წირვა-ლოცვის დროს, რომელთაც ისინი სასწავლო დროს განმავლობაში თითქმის მუდამ ესწრებიან. სწავლის შესრულების შემდეგ-კი ამ ნორჩი გულით და განუმტკიცებელს ტვინით, შედიან იგინი უმაღლეს სასწავლებელში, თუ იწყებენ დამოუკიდებელ სიცოხლე-მოქმედებას, სულ ერთია—მაინც სცვივიან გარეშე ცხოვრების ჯურღმულში და ათასგვარ ტალღათა მოქმედებას ეძლევიან. ნეტარ არიან ისინი, რომელნიც კეთილ გავლენის ქვეშ მოხვდებიან, მაგრამ ვაი იმათ, რომელთაც ბოროტი ქადაგება და სარწმუნოების და ზნეობის წინააღმდეგი მიმართულება მოედებათ! რამდენია იმისთანა საცოდავი ჩვენ ნორჩ ახალგაზრდობაში! ამასთანავე არ შეგვიძლია ამ მოვლენის ერთ-ერთ მიზეზად არ ჩავთვალოთ ის, რომ ჩვენ საზოგადოდ და კერძოდ მაღალ საზოგადოების ახალ გაზრდობაში არა გვაქვს წრეები, საზოგადოებანი და კავშირნი, რომ შევისწავლოთ ცხოვრების პირველი საფუძველი და ცოდნა—დაბადება. აბა გვქონდეს ჩვენ ახალგაზრდათა ქრისტიანული კავშირნი, გვქონდეს ქრისტიანულ მოქმედებათა საზოგადოებანი, რომელთაც აქვთ განმანათლებელი მიზანიც, გვქონდეს კავშირნი და საზოგადოებანი, თუნდაც არა ისე ფართოდ დაყენებული, როგორც ამერიკაში, გვყავდეს იმათში ცოცხალი, ენერგიული და სარწმუნოებით გამსჭვალული ადამიანები,—ჩვენში ხომ მოიპოვება ამისთანები—რავდენი ყმაწვილი ქალი და კაცი შეიფარებოდა მათ დროშის ქვეშ, რამდენი მათგანი აღიზრდებოდა მართლმადიდებელ სარწმუნოებაში, თავისი ეკკლესიისა, სამშობლოსა და მამულის სიყვარულში, რავდენი მათგანი ასცდებოდა იმ მრავალ შეცდომათა, რომელთაც ისინი ეძლევიან სარწმუნოებისა ⁄ მმართველობის წინააღმდეგ ცრუ მოძღვრებით!"

„ღმერთმან ინებოს და მოაფიქრებინოს ჩვენშიაც მცირედ მაინც რაიმე მსგავსი იმისა, რასაც ვხედავთ განათლებულ ამერიკაში, იმ პირთა, რომელთა პირდა-პირ მოვალეობას შეადგენს ხალხში სარწმუნოებისა და ზნეობრივ განმტკიცების ზრუნვა."

ჩვენში კი აღარაფერს ამისთანაებს საჭიროდ აღარ რაცხვენ, რადგან ზოგიერთ ბატონებს თავიანთ თავი ბრძნად მოსჩვენებიათ და იმას ვერ მიმხვდარან რომ სრულებით გასულელებულან, როგორც საღმრთო წერილი ბრძანებს:

(შემდეგი იქნება)

დეკ. დ. დამბაშიძე.

## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15 დეკემბერს 1903 წ.

კრების პირველ დღეს, 15 დეკემბერს, 34 სამღვდელოების დეპუტატები შეიკრიბნენ; დანარჩენი დეპუტატები ვერ მოვიდენ სიშორისა გამო. შეკრებილ დეპუტატებში შეიქმნა ლაპარაკი თავსმჯდომარის აღრჩევაზე. დეპუტატებმა დაასახელეს თავსმჯდომარეთ რამოდენიმე პირები, მაგრამ შეკითხვის დროს მათ უარი განაცხადეს. ბოლოს დაასახელეს თავსმჯდომარედ მღვდელი სიმონ მჭედლიძე და იუსტინე ტაბიძე, რომელთაც თანხმობა განაცხადეს. მოხდა დაფარული კენჭის ყრა თავსმჯდომარის თანამდებობაზე მღვდელს ს. მჭედლიძეზე, რომელსაც აღმოუჩნდა თეთრი კენჭი 21 და შავი 17. ამის შემდეგ მღვდელმა ი. ტაბიძემ უარი განაცხადა კენჭის ყრაზე და დარჩა თავსმჯდომარის კანდიდატად. შესდგა სიგელი, მაგრამ როგორ გამორიცხა ახალმა თავსმჯდომარემ თავის კანდიდატი მღ. ი. ტაბიძე არავის არ შეუტყია, რადგან თავსმჯდომარის აღრჩევის სიგელი, კრების გასაგონათ არავის არ წაუკითხავს. საქმის მწარმოებლად ერთ ხმად აირჩიეს მღ. არ. ბოქორიშვილი. ამ დღეს კრებაზე შემობრძანდა მათი მეუფება, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, აკურთხა კრების დეპუტატები და მიმართა მათ მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვით; დაარიგა კრება საბაასო და გადასაწყვეტ საგნების შესახებ, ისურვა რომ კრებას გამოეჩინა გამჭრიახობა და რიგიანად გარდაეწყვიტა მიცემული წინადადებანი. განსაკუთრებით კრების ყურადღება მიაქცათ ოთხკლასიან სასწავლებლის არა სანატრელ მდგომარეობაზე და შემდეგ თავის სასახლეში წაბრძანდა.

მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ის კითხვები, და წინადადებანი რომელნიც მიცემული ჰქონდა ამ კრებას გადასაწყვეტად. ამ კითხვებს დაემატა კიდევ მათი მეუფების წინადადება შენდობის ფურცლების და გვირგვინაკების საქმის მოწესრიგების შესახებ, რომელიც ასე დაუწყობელი იყო დღემდისინ.

თავსმჯდომარემ, როგორც ახალმა კაცმა, მოიმდომა ახალი წესების შემოღება, წინადადებათა მსჯელობის და გარდაწყვეტის შესახებ. «ბევრი ლაპარაკია სხდომაზე კითხვების გარდაწყვეტის შესახებ, ბრძანა თავსმჯდომარემ, რომ ბევრი უსარგებლო ლაპარაკი არ იყოს მე მოვახსენებ ჩემს აზრს კრებას ყველა კითხვების შესახებ და შეიძლება ჩემი მოფიქრება და გარდაწყვეტილება მიიღოს კრებამ და გარდაწყვიტოს საქმე ? ამისათვის რაღა საჭიროა იქნება სხვების ლაპარაკი? თუ კრებას არ მოეწონება ჩემი მოსაზრება მაშინ თვითონ კრება მოიფიქრებს და როგორც საუმჯობესო იქნება ისე დადგინდება ჟურნალი». უმრავლესობა, დარწმუნებული ახალი თავსმჯდომარის შეუცთომლობაზე და ყველა საბაასო საგნების შესახებ მისგან ყოველ-მხრივად გამოკვლევასა და საფუძვლიანად მოფიქრებაზე, დასთანხმდენ. შემდეგ ამისა აიღო წინადადება ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის გაყოფის შესახებ. გაქესთ ღვთისწყალობა, იმან იჯერა გული ლაპარაკით! დაწვრილებით გამოიანგარიშა თუ რა ეხარჯება ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებლის შესანახავად სამღვდელოებას თავისი პარალელური განყოფილებებით, მერმე დაახასიათა უნუგეშო მდგომარეობა ამ სასწავლებლისა, არა მიმხედველი იმისა, რომ სამღვდელოება ამდენ ფულს ხარჯავს ამ სასწავლებელზე. ბოლოს ურჩია სამღვდელოებას, რომ სრულებით დაეხურა სასწავლებელი და თავისი შვილები მიეცა სხვა-და-სხვა სასწავლებელში ? ის 23 ათასი მანეთი, რომელიც ამ სასწავლებლის შესანახავად იხარჯება მოეხმარათ სხვა სასწავლებლებში სწავლის უფლების გარდასახადისათვის, რომელიც წელიწადში მისი გამოანგარიშებით 50—60 მანეთს არ აღემატება.

სამღვდელოების კრებამ არ მოიწონა თავსმჯდომარის ესეთი მოფიქრებული აზრი და უარი უყვეს. მერმე თავსჯდომარემ სხვანაირად დაუყენა

კითხვა. შემდეგ გრძელი მეორე გვარი გარდაწყვეტილება ურჩია. სამღვდელოებას, რომ ბევრი არ ეხარჯებოდეს ამ სასწავლებლის შესანახავად ყველა პარალელური კლასების ხარჯი მიიღონ მათ ვინც ამ განყოფილებებში იქნებაო და ვინც ნორმალურ კლასში იქნება ისინი-კი სწავლის უფლების გარდახდისაგან თავისუფალნი იყვნენო. ეს კრებას სრულებით არ მოეწონა. მერმე წინადადება მისცა კრებამ თავსმჯდომარეს მოეთხოვა აზრი დეპუტატებისათვის შესახებ მეორე ოთხკლასიანი სასწავლებლის გახსნისა და პარალელური კლასების დახურვისა და კრების უმეტესი ხმის თანახმად დაედგინა განჩინება. ვინაიდგან მისი რჩევა არცერთი არ იყო მისაღები...

სიტყვის ნება ითხოვეს რამდენიმე დეპუტატებმა და თვითეულმა მათგანმა გამოსთქვა თავისი აზრი როგორც სასულიერო სასწავლებლის გაყოფისა ისე პარალელური კლასების დახურვის შესახებ. ზოგიერთმა დეპუტატებმა მშვენიერად დაახასიათეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის არა სანატრელი მდგომარეობა. „შეიგნო კარგად სამღვდელოებამ ეს მდგომარეობა სასწავლებლისა, განაცხადეს მათ, ვისაც საშუალება აქვს სხვა სასწავლებელს მიაშურა. პირველად სამღვდელოებას ეგონა, რომ როცა აკადემიელები დაიკავებენ მასწავლებლების ადგილს სემინარიელების ნაცვლად მოსწავლეები უმეტესად განვითარებულნი შეიქმნებიანო, მაგრამ, საუბედუროდ, სამღვდელოება ამაში მოსტყუვდა. სემინარიელი მასწავლებლების დროს უფრო ბევრს იღებდენ ოთხკლასიანებს სემინარიაში ვინემ დღეს. დღეს პირველი შაგირდი, რომელსაც ყველა საგნებში ხუთ-ხუთი ნიშანი აქვს უკან ბრუნდებიან და გარეთ რჩებიან, რადგან კარგათ ვერ მიუგეს ეკზამენის დროსო. საკვირველია რომ ვინც-კი დათხოვნილი იყო მეოთხე კლასიდან სუსტი სწავლისათვის იგინი კი შევიდენ სემინარიაში მოტყუებით. მათ განაცხადეს, რომ ჩვენ სასწავლებელში არ ვყოფილვართ, შინ მოვემზადეთო. წარმოიდგინეთ ამ სუსტმა შაგირდებმა დაიპირეს ეგზამენები ბ მიიღეს კიდეც სემინარიაში. რით აიხსნება ეს? რა საჭიროა მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნა, თუ იმ შაგირდებსაც არ იღებენ, რომელნიც ამ სასწავლებლიდან მიდიან? ხომ სულ გარეთ დარჩებიან კიდევ სხვა სასწავლებლის მოსწავლენი. სემინარიის გარეთ დარჩენილი მეოთხე კლასის ბავშვები დაღუპულნი არიან! იმათ არ აძლევენ მედავითნის ადგილებსაც უეგზამენოდ. სხვა სასწავლებლებში სწავლის განგრძობა ხომ ყველა ოთხკლასიან სასწავლებლის კურს დამთავრებულთ ადვილად შეუძლიათ ვინემ ჩვენ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა? მაშ რაღა უპირატესობა აქვს ჩვენ სასწავლებელს, რომელზედაც ამდენ ფულს ვხარჯავთ მის შესანახავად? არა თუ საჭირო არა რის მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნა, არამედ ყველა პარალელური კლასებიც უთუოდ უნდა დაიხუროს სრულებით.“

ეს აზრი დეპუტატებისა თითქმის მთელმა კრებამ მოიწონა. თავსმჯდომარემ კრება დახურა და საბოლოოდ გარდწყვეტა მეორე დღისათვის გარდასდვა.

მეორე დღეს შეიკრიბნენ დეპუტატები დილის რვა საათზე, მაგრამ წინანდელი აზრი სამღვდელოების კრებისა პარალელურ განყოფილებათა დახურვის შესახებ სრულებით არ შეცვლილა. მარტო ორიოდე დეპუტატი გაიძახოდა, რომ სირცხვილია ეხლანდელ დროში კლასების დახურვაო, რადგან განათლება ეხლა უფრო წინ მიდის და კლასებიც ბევრი უნდა იყოსო. ამ დეპუტატებს სრულებით არ უფიქრიათ იმაზე თუ რამდენად ასრულებს დღეს ჩვენი სასწავლებელი სამღვდელოების მოთხოვნილებას. მართალია ზოგიერთი სამღვდელოება ძლიერ მოხარულია როცა მისი შვილის მოწმობაში სულ ხუთ-ხუთ ნიშნებს ხედავს ჩამოწკაპულს, ბაგრამ მას კი აღარ აქცევს ყურადღებას, რომ მის შვილს ეკზამენის დროს სემინარიაში ეუბნებიან: არაფერი არ იცი და ვერ მიგიღებთო... ამავე დროს ზოგიერთ უსწავლელობისათვის დათხოვნილ ბავშვებს კი იღებენ როგორც შინ მომზადებულთ.

ამ კითხვის გადაწყვეტის შემდეგ სამღვდელოების დეპუტატებმა განიხილეს სასწავლებლის სამმართველოსაგან წარსული წლის ხარჯი რომელიც ცალკე დაებეჭდათ კრების დროისათვის. ამ ანგარიშის შესახებ თავსმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ კომისია აღერჩიათ და მათთვის მიენდოთ ანგარიშის განხილვა და კრებისათვის მოეხსენებიათ მეორე დღეს. თავსმჯდომარის ამისთანა წინადადებაზე დეკ. ღ—ძემ სთქვა: „ანგარიშის განხილვა მართლაც რომ საჭიროა, რომ სამმართველო ყურადღებას აქცევდეს კრების დადგენილებას და მოთხოვნილებას, მაგრამ დღეს ზედმეტათ მიმაჩნია ამ ანგარიშის განხილვისთვის დრო დავკარგოთ. ოც გზის მაინც უთ-

ხოვნია სამღვდელოების კრებას სამართველოსთვის, რომ ანგარიში სავალდებულო ჟურნალში დაბეჭდილიყო და კანონიც ამას ითხოვს. ცალკე წიგნად დაბეჭდვა მაშინ არის სავალდებულო როცა სავალდებულო ჟურნალი არ არსებობს და როცა არის, ვის აქვს უფლება, რომ ანგარიშის დაბეჭდვაზე უარი სთქვას? ეს ანგარიში რომ ჟურნალში დაბეჭდილიყო ყველა წაიკითხავდა და დღეს ვინ მოასწრებს მის წაკითხვას და განხილვას? ან რატომ ერთჯერ არ შეიწყნარა სასწავლებლის სამმართველომ კრების ამგვარი თხოვნა, რომ ანგარიშის დაბეჭდვაში ფულები არ ხარჯონ?.. ცალკე წიგნებათ დაბეჭდვა ანგარიშისა ორმოცი დეპუტატისათვის სხვა არის და საქვეყნოთ გამოცხადება ჟურნალში, სხვა არის. ამას კარგად სცნობს სამმართველო და საქვეყნოდ ანგარიშის გამოცხადებას ალბათ ერიდება... განვიხილოთ თუ გნებავსთ ეს ანგარიში და რა გამოვა? ზედამხედველი პასუხს არ გაგცემს, ჩემი თაობა არ ყოფილა ანგარიშის შედგენაო და წადი ეძებე ყოფილი უმფროსები. განა ცოტა ფული დაკარგვია საღვდელოებას ძველი დროის სასწავლებლის უმფროსებისაგან? დღევანდელ დროს ყველას კარგი იარაღი აქვსთ თავის გამართლებისა ჭ სასჯელის აცილებისათვის!..

ჩვენ ბევრი რამ გვაქვს აქ საბაასო და გადასაწყვეტი და ამისთანა უბრალო საგნების მსჯელობაზე დროს ნუ დავკარგავთ". კრებამ მიიღო სასწავლებლის ანგარიში წარსული წლისა და კიდევ უკანასკნელად განიმეორა თავისი წინანდელი თხოვნა ანგარიშების ჟურნალში დაბეჭდვის შესახებ.

დამსწრე.

## საჟურადღებო წვრილმანი.

წარსული წლის «ივერიის» 269 ნომერში დასტამბულია მეტად საგულისხმო წერილი თ-დ. ქაიხოსრო გელოვანისა ამ სათაურით: «ოჯახში ვინ გვიშლის?». თვითეული სიტყვა ხსენებული წერილისა ადუღებული ტყვიის წვეთად ხვდება შეგნებულ მკითხველის გულს. მართლა და ეს რა უბედურებაა, ბატონებო, ჩვენ თავს? რამ აგვიცრუა გული იმაზე, რაც ყოველ ხალხს უძვირფასესად მიაჩნია? რად გვრცხვენიან ჩვენი ვინაობისა და რად ვღალატობთ ჩვენს ეროვნებას მარტო ენის უარ ყოფიდ-კი-არა, სულ უბრალო წვრილმანი რამეთიც-კი? ავიღოთ, მაგალითად, თუნდა ჩვენი ვაჟიშვილებისა და ასულების სახელები. ყოველ ერს ერთხელვე შეთვისებული აქვს მამაკაცთა და დედაკაცთა თავისი განსაკუთრებითი სახელები და მათ არა სცვლის უცხო ხალხების სახელზე. ასეა ფრანგებში, გერმანელებში, ინგლისელებში, ებრაელებში, ოსმალსპარსელებში. ასე იყო დღევანდლამდენ ქართველებშიაც, მაგრამ დღეს? ყოველი მილეთის ხალხის სახელ-წოდებას ვარქმევთ ჩვენ შვილებს ჭ ქართულს კი ძალიან იშვიათად. აი ამისი მაგალითებიც, ამოკრებლინი ჩვენ სულიერ მწყემსთა ოჯახების ოფიციალური აწერილობებიდან. ვაჟების სახელები: ბორის, ანეპოდისტ, იაირ, ტიხონ, ტრიფონ, კარლ, ლიუდვიღი, პაფნუტი და სხვ. ქალებისა: მილიცა, მანეკა, პიღას, ვერა, ვალინა, ფილიცატა, ოლინკა, მატრონა, ელიკონიდა, ლიუბოვ, მარადანა, პლატონიდა, პინნა, პოლინა, ვიკტორინა, კალინიკა, იუსტინა, ედესია, ანტიოპა, ეროტოსია, და სხვა. რად გრცხვენიათ დაარქვათ შალვა, ბიძინა, ელიზბარ, არჩილ, ლუარსაბ, ოთარ, ირაკლი, თემურაზ, შიო, ან ქეთევან, ნინო, თამარ, რუსუდან და მისთანები? დიაღ, წვრილმანია ეს გარემოება, მაგრამ სამწუხაროა სწორედ, რომ სხვის წვრილმანიც სამშობლო წვრილმანს გვირჩევნიან და ნინოს სახელს ოლინკას ან რაღაცა პიღასიას და ანტიპას ვამჯობინებთ! ურმის ჭინჭილაქიც ხომ წვრილმანია, მაგრამ იმისი დაკარგვა ურემს აჩერებს. აქაც ასეა თუ თვალს განგებ არ ავიხვევთ. ვისურვებ, რომ ახალ წელს ამ წვრილმანის აზრის შეგნება მაინც მოეტანოს ჩვენთვის.

პატარა კაცი.

„მწყემსი"-ს კორესპონდენტია

## წმიდა ნინოს დღესასწაული კავკავში.

14 იანვარს ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს დღესასწაულის დღეს, აქ ქართველების სკოლის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ვლადიკავკავისა და მოზდოკისა ვლადიმერი, ადგილობრივ სობოროს

დეკანოზის მ. მაქსიმოვის, ეპარქიის სკოლების მეთვალყურის მ. არეხოვის, ბლაღოჩინის მ. ნიკოლსკის და ამავე ეკკლესიის მღვდლის მ. გ. ნათაძის თანამწირველობით. წირვის დროს ყოვლად სამღვდელო ვლადიმერი ზოგიერთს ასამაღლებლებს ქართულად ბრძანებდა; პარაკლისის დაწყების დროს მათმა უსამღვდელოესობამ ვრცელი და მგრძნობარე ქადაგება წარმოსთქვა წმ. ნინოს მოღვაწეობაზედ და საზოგადოთ იმ დიდს მნიშვნელობაზედ, რაც შეუძლია აღასრულოს ქრისტიანობის მოსიყვარულეობით გამსჭვალულმა ქალმა საზოგადო თუ კერძო ოჯახურ ცხოვრებაში. შემდეგ დაწვრილებით მოუთხრა მლოცველთ წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში და სხვაგან. ყოველი სიტყვა-მოძღვრება მათი მეუფებისა, თითეულ მსმენელის გულს ხვდებოდა და ისე სასოებით და მოწიწებით ისმენდენ, რომ ჩვენის გონებიდან არასოდეს არ ამოიშლება ის სურათი, რომელსაც წარმოადგენდა ეკკლესიაში მქადაგებელი მღვდლმთავარი და აუარებელი მსმენელი ხალხი. წირვაზე გალობდა ორი გუნდი, ერთი ეპისკოპოსისა და მეორე ქართული სკოლისა. პარაკლისის შემდეგ ყოვლად სამღვდელო მიწვეულ იქმნა სკოლის დარბაზში ჩაიზედ.

კვირას, 11 იანვარს, სობოროში მათმა მეუფებამ, რუსის მდაბიო საზოგადოებასაც კი გააცნო ქართველთა ისტორია და წმიდა ნინოს მოღვაწეობა, და დასძინა დღესასწაული 14 იანვრისა ქართველთ ეკკლესიაში. ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ვლადიმირის ქართველთადმი სიყვარული აღუწერელია და ყოველი ქართველი მოვალედ უნდა სთვლიდეს მათ მეუფების პატივისცემას.

მთავარ-დიაკ. ბართ. დუდუშაური.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

*** უქვეშევრდომილესი დეპეშა, მიღებული მის იმპერატორებით უდიდებულესობის მიერ შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად ვაუწყებ, რომ 26 იანვარს, შუაღამისას, იაპონიის ნაღმიანმა გემებმა მოულოდნელად ნაღმით იერიში მიიტანეს ესკადრაზე, რომელიც იდგა პორტ-არტურის განაპირა რეიდზე. ამასთან ჯავშნიან გემებს „რეტვიზან“-სა და „ცესარევიჩ“-ს და კრეისერს „პალადა“-ს გვერდები შეუნგრიეს. თუ რამდენად არის დაზიანებული გემები, უკვე შეუდეგქით გამოკვლევას. დაწვრილებით ცნობებს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას დამატებით ვაუწყებ. გენერალ—ადიუტანტი ალექსეევი“.

*** გარეშე საქმეთა მინისტრის ცირკულიარული დეპეშა საიმპერატორო რუსეთის წარმომადგენელთა მიმართ საზღვარ-გარედ: „პეტერბურგი, 24 იანვარი 1904 წელს. თავის მთავრობის მონდობილობით იაპონიის ელჩმა უმაღლეს კარის წინაშე ნოტა წარადგინა, რომლითაც იმპერატორის მთავრობას ეუწყება. იაპონიის გადაწყვეტილება მოლაპარაკება შესწყვიტოს და ელჩი და საელჩოს ყველა წევრნი პეტერბურგიდან გაიწვიოს. ამის გამო ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინება და უმაღლესად ბრძანა, რომ ტოკიოში მყოფმა რუსეთის ელჩმა საიმპერატორო საელჩოს მთელის კრებულით იაპონიის სატახტო ქალაქი დაუყოვნებლივ დასტოვოს. ამგვარი ქცევით ტოკიოს მთავრობა, რომელმაც ეხლახან გაგზავნილ საიმპერატორო მთავრობის პასუხს არც კი დაუცადა, პასუხის მგებელი იქნება იმისა, რაც ორივე სახელმწიფოს დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას მოჰყვება.

*** ვლადივასტოკიდან იუწყებიან, საქმის საზოგადო მდგომარეობის შესახებ აქ არავითარი ცნობები არა აქვთ; თვით მთავრობამაც კი არაფერი იცის; მათ მოსდით მხოლოდ განმარტებული განკარგულებანი, საიდანაც სჩანს, რომ მტრის მოსაგერებლად მომზადება თან-და-თან მატულობს; რაც შეეხება უმთავრეს განკარგულებას, ფულის გადადების შესახებ, არ არის, უამისოდ კი მრავალი მომზადება შეუძლებელია გამორკვეულ მდგომარეობისა გამო საზოგადოება ცუდ-გუნებაზეა; ვაჭრობა და ბანკების ოპერაციები შესწყდა. რადგან ალყის შემორტყმას ელიან, განზრახულია უსურიის გზის მმართველობა და ოლქის სასამართლო ხაბაროვსკში გადაიტანონ, საოლქო გამგეობა—უსურიის ნიკოლსკში; აღმოსავლეთის ინსტიტუტი და სამოსწავლო დაწესებულებანი დაკეტილ იქნებიან. ხმა დადის, ადგილობრივი მკვიდრნი მოვალენი იქნებიან სურსათი მოამზადონ. რასაკვირველია, ათასი სულელური ხმაც დადის. ყოველ დღე მობილიზაციას ელიან. „ვოსტონჩი ვესტნიკ“-ს იმედი აქვს, საქმე არ გამწვავდებაო. ქალაქიდან გამსვლელთა რიცხვი ქალაქში შემოსულთა რიცხვს სჭარბობს.

*** რუსეთმა იაპონიას უკვე გამოუცხადა ომი. ამ ომის გამოცხადებაზე მანიფესტი შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი.

*** სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1904 წლისათვის თითქმის არაფრით განირჩევა წინა წლების აღრიცხვისაგან.

რუსეთის ბიუჯეტი ორ მილიარდ მანათამდე ავიდა. ჩვეულებრივ შემოსავალს წელს მოელიან 1.980.094.493 მანათს, არა ჩვეულებრივს—2.750.000 მან., სულ 1.982.844.493 მან., ორ მილიარდს აკლია 17 მილიონ მანეთზე ცოტა მეტი.

გასავალი ამ წლისათვის ნაანგარიშევია: ჩვეულებრივი—1.966.458.251 მან., არა ჩვეულებრივი—212.178.804 მან., სულ 2.178.637.055 მანეთი.

მაშასიდამე დეფიციტია 195.792.562 მანათი, დაფარული იქნება სახელმწიფო ხაზინის თავისუფალ თანხიდან.

წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით ჩვეულებრივი შემოსავალი მატულობს 83.061.815 მანათით; ამაზე ცოტა უფრო მეტი (86 მილ.) ემატება ჩვეულებრივს გასავალსაც, აქედან მარტო სამინისტროს ხარჯებს ემატება 30 მილ. მანათი, შინაგან საქმეთა სამინისტროსას—15 მილ., ფინანსებისას—6, საერო განათლებისას—4 მილ. და სხვა.

უფრო საგრძნობლად მომატებულია არა ჩვეულებრივი გასავალი. წინა წლებში ეს ხარჯი არ აღემატება 190 მილიონს, ეხლა-კი ნაანგარიშევია 212 მილიონზე მეტი; აქედან უმეტესი ნაწილი მოხმარდება დაწყებულ რკინის გზების დამთავრებასა და ცოტაც ახალი გზების აშენებას.

ცოტათი შევჩერდეთ ბიუჯეტის უფრო საინტერესო ნაწილზე: ჩვეულებრივს გასავალზე. აი ციფრები, რომელნიც გვიხასიათებენ სახელმწიფოს ხარჯებს ამ წლის განმალობაში.

| | | |
|---|---|---|
| 1. | სახელმწიფო ვალების გადახდა | 289.299.183 მ. |
| 2. | უმაღლესი სახელმწიფო დაწესებუ. | 3.529.111 „ |
| 3. | უწმ. სინოდის უწყება . . | 29.331.890 „ |
| 4. | საიმპერატ. სასახ. სამინისტრო . | 16.127.920 „ |
| 5. | გარეშე საქმეთა „ . | 6.417.790 „ |
| 6. | სამხედრო „ . | 360.758.092 „ |
| 7. | ზღვათა „ . | 113.622.426 „ |
| 8. | ფინანსთა „ . | 371.122.649 „ |
| 9. | მიწათ მოქმედების „ . | 49.829.102 „ |
| 10. | შინაგან საქმეთა „ . | 114.727.078 „ |
| 11. | საერო განათლების „ . | 44.677.451 „ |
| 12. | გზათა „ . | 473.274.611 „ |
| 13. | სავაჭრო ნავსნობისა და ნავთსადგურების მთავარი მმართ. . | 16.547.466 „ |
| 14. | იუსტიციის სამინისტრო . | 51.082.938 „ |
| 15. | სახელმწიფო კონტროლი . | 8.993 809 „ |
| 16. | ცხენების მოვლა-მოშენების მთავარი მმართველობა . | 2.116.735. „ |
| 17. | სამხედრო მასალის და სანოვაგის მოულოდნელი გაძვირებისათვის . | 3.000.000 „ |
| 18. | მოულოდნელი ხარჯები . | 22.000.000 „ |
| | სულ | 1.966.458.251 მ. |

ახალ ბიუჯეტის ამ მოკლე განხილვიდანაც მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეობა წელს უცვლელი რჩება. პრინციპების მხრით მაინც არავითარი განსხვავება არ არის, მხოლოდ რაოდენობითი განსხვავებაა; სახელდობრ: სამხედრო ჯარებს ემატება 30 მილიონ მანათზე მეტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 მილიონზე მეტი და სხვა. („ცნ. ფურ.")

*** ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭო კერძო სახლიდან (ოლგას ქუჩა) გადმოაქვთ სახელმწიფო სახლში (სასინოდო კანტორაში). მასთან მოთავსებული რედაქცია „სასულიერო მოამბისა" უკვე გადავიდა სასინოდო კანტორაში.

*** „პრავიტ.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საერთმუნოებასა და კეთილმსნეობაზე.

## მოძღვრება

წმ. ნინოს დღეს, წარმოთქმული ქ. ქუთაისის სამრევლო სასწავლებელთა მოწაფეების შეკრებილების წინაშე.

ძვირფასნო მეტარებნო, ჩემნო სულიერნო შვილებნო!

მე მსურს თქვენი დამოძღვრა, თქვენი დარიგება, მოცემა იმისთანა სწავლისა, რომელიც შეგძენთ ღვთის მორჩილებას და სიყვარულს, გაცოდინებთ უმფროსთა, მზრუნველთა და მშობელთა პატივისცემას და, ბოლოს როდესაც ღვთის მადლითა და ძალით დიდები დაიზრდებით და ცხოვრებაში გამოხვალთ, დაგაყენებთ კეთილსა და ყველასათვის სასარგებლო გზაზე. მაშ, აბა ჩემო კარგებო, მოიკრიბეთ გონება, ყური მომიგდეთ ბეჯითად და ეცადეთ, რომ არა გამოგრჩეთ-რა, არა გამოგეპაროთ-რა ნათქვამიდან, არც ერთმა სიტყვამ არ გაგირბინოთ ქარივით უბრალოდ და ტყუილად.

თქვენა ხართ მოსწავლენი სამრევლო-საეკლესიო სკოლებისა; თქვენი სასწავლებლები არიან შეფარებულნი სამრევლო-ეკლესიათა კალთის ქვეშ; თქვენა საზრდოებთ და ავარჯიშებთ თქვენს ნორჩ გონებას განსაკუთრებით და უმთავრესად იმ ცოდნით, რომელზედაც არის დამყარებული თვით ეკლესია. მაგრამ იცით, ძვირფასნო, ვინ დაგვიარსა პირველად ჩვენ, ქართველებს წ. ეკლესია? იცით ვინ მოგვიტანა პირველად ის საღმრთო მეცნიერება, რომლითაც ეხლა თქვენ ინათლებთ გონებასა, იძენთ ღვთის ცოდნას და იმკვიდრებთ საუკუნო ბედნიერებას? იცით ვინ არის თქვენი სწავლა-აღზრდის მშობელი დედა, თქვენი მწიგნობრობის ჭირისუფალი, თქვენი მფარველი, მომხმარე და მშველელი ანგელოზი სწავლაში?

ყველამ იცოდეთ და ყველამ გაიგეთ, რომ დამაარსებელი, პირველად დამწყები, დედა ჩვენი ეკლესიისა არის წმ. ნინო. წმ. ნინომ გვიქადაგა სახარება, პირველად მან გაგვაცნო იესო ქრისტეს სახელი, იმანა გვცა ნათელი და ამის გამო იგია ჩვენი საკუთარი მოციქული.

ჩვენი ქვეყნის შვილი არ იყო წმ. ნინო. ის მოვიდა ჩვენში ღვთის განგებით იერუსალიმიდან. ჯერ სრულებით პატარა, თქვენსავით მცირე წლოვანი იყო წმ. ნინო, რომ იგი დაუტოვეს მშობლებმა თავიანთ ნათესავს, იერუსალიმის პატრიარქს იოდენალს აღსაზრდელად და გამოსაწრთვნელად ღვთის მსახურებაში და თითონ წავიდენ უდაბნოში სამოღვაწოდ. აი რა დარიგება მისცა პატარა ნინოს მამამ, როდესაც მან უკანასკნელად ჩაიკრა იგი მოსიყვარულე მკერდში და ცრემლთა ფრქვევით დაუკოცნა მას სახე: მშვიდობით, სულივით ტკბილო, ჩემო საყვარელო, ერთად-ერთო შვილო! მე გტოვებ შენ ობლათ, სამუდამოთ გშორდები დღეიდან, მაგრამ ნუ შესწუხდები, ნუ ინაღვლებ, ნუ მისცემ ამის გამო შენს გულში ალაგს ფიქრსა და დარდსა, დღეიდანვე გიშვილებს შენ და გადაგიშლის თავისი უხვი სიყვარულის კალთას ღმერთი, რომელიც არის მამა ობოლთა და ქვრივთა. გთხოვ მუდამ თვალწინ გედგას და ყოველთვის გახსოვდეს წასაბაძი მაგალითი მარიამ მაგდალინელისა და მართალი ლაზარეს დებისა, აღიჭურვე იმათსავით იესო ქრისტეს ერთგულებით, შეიყვარე იმათსავით მხსნელი ქვეყნისა და იცოდე, რომ არც შენ დაგივიწყებს იგი და ყოველთვის აგისრულებს, რასაც-კი გულითა სთხოვ მას.“

იგრძნო პატარა ნინოს ნათელმა სულმა ჭეშმარიტება მამის დარიგებისა, ღრმათ ამოიჩრა სპეტაკ და უმანკო გულის ფიცარზე თვითეული სიტყვა მამის მცნებისა და იმ დღიდან გული და გონება თვისი მთლად დაუთმო უფალსა, იმ დღიდან მისს ბედნიერებად შეიქმნა განუწყვეტელი ღვთის სამსახური, მისი გული ვერა ძღებოდა ღვთის სიყვარულით და მისი გონება შეიქნა მიმართული ქრისტე ბაცხოვრის ქადაგებისა და მცნებათა სრულსა და ზედმიწევნითი შეთვისება-განხორციელებაზე. მხურვალე ლოცვა, ბეჯითი და გულსმოდგინებითი სწავლა საღმრთო წერილისა, დაუზარებელი და ხალისიანი მორჩილება უმფროსთა ბძანებისა.—აი რითი

იწყებდა და რითი ათავებდა ყოველ დღეს წ. ნინო, როდესაც იგი თქვენსავით სწავლობდა დიდებული იერუსალიმის წმ. ტაძრის სასწავლებელში.

ერთხელ მასწავლებელმა ქალმა დაწვრილებით უამბო წმ. ნინოს იესო ქრისტეს ჯვარცმისა და სიკვდილის მოთხრობა. სხვათა შორის ამ მოთხრობიდან გაიგო წმ. ნინომ, რომ იმ ებრაელებში, რომელნიც დაესწრენ ქრისტეს ჯვარცმას, ერთი, საქართველოდან მისული, მცხეთელი ურიაც ერია და მას ერგო წილში იესო ქრისტეს კვართი (პერანგი). ნინომ დაწვრილებით გამოჰკითხა თავისს აღმზრდელს საით არის მცხეთა, ვინ არიან ქართველები, რა სარწმუნოებას მისდევენ იგინიო და როდესაც გაიგო ქართველების კერპთაყვანის-მცემლობა და არა ქრისტიანობა, დიდად შესწუხდა, დიდად დაღონდა და დაფიქრდა: როგორ, განა დიდი ცოდვა და დანაშაული არ არის, რომ იმ ქვეყნის მცხოვრებნი, სადაც იესო ქრისტეს კვართი ინახება, სიბნელეში იყვნენ, კერპებს სცემდენ თაყვანს და არ იცნობდენ იესო მაცხოვარსო, ნაღვლიანობდა ნინო! არა, მე ამას ვერ მოვითმენ, მე უნდა მოვაქციო ქართველები, მე უნდა ვაცოდინო ქრისტეს სჯული და ამითი ავასრულო ჩემი მოვალეობა, ამითი დავამტკიცო ჭეშმარიტი სიყვარული ქრისტესიო, გადაწვიტა ქალწულმა ნინომ და გამოეშურა საქართველოსაკენ.

განა რო ბევრს მწუხარებას, ბევრს გაჭირვებას, ბევრს ვარამს და ავდღეს მიაყენებდენ შორიდან მოსულს და უცხო ქალს იმ დროინდელი გაკერპებული, გონება დახშული და სიამაყით თავგასული ქართველები! მაგრამ ქრისტეს სიყვარულმა, რომლითაც ერთობ გამსჭვალული იყო წმ. ნინო, ჰსძლია ყოველ დაბრკოლებას, წმ. ნინოს გაბედულმა ბ ბეჯითმა ქადაგებამ მოულბო გული ქართველებს, ჩქარა დაანახვა მათ კერპების სრული უძლურება, უმნიშვნელობა და უაზრობა. ამის შემდეგ საჭირო აღარ იყო დიდი შრომა და ქადაგება.—თვალ ახილულმა ხალხმა ნათლად ჰსცნა თავისი ძველი შეცდომილება, სისწრაფით დასცა ძირს კერპები, დაჰგმო, დალეწა იგინი და შემდეგ ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მეფე და მონა ჩადგენ მდინარე მტკვარში და მიიღეს წმ. ნათლისღება.

ასე დაიწყო ჩვენში, ჩემო პატარა მსმენელებო, ქრისტიანობა; იმ დროიდან იწყეს ჩვენში შენება ტაძრებისა, რომლებითაც ბოლოს მთლად მოიჭედა და მოიქარგა საქართველო, როგორც ცა ბრწყინვალე ვარსკლავებით, იმ დროიდან მოგვეფინა ჩვენ ნათელი წმ. სახარებისა, იმ დროიდან დამწესდა ჩვენში წირვა და ლოცვა, იქიდან მომდინარეობს საეკკლესიო გალობა! ოღონდაც რო უკვდავი და დაუვიწყარი უნდა იყოს ჩვენთვის ვინც ამოდენა ამაგი დაგვდო. ოღონდაც რომ მოვალენი ვართ ლოცვითა, ვედრებითა, თაყვანისცემითა ბ დიდებისმეტყველებით ვასრულებდეთ ამგვარი პირის ხსენებას. ამისთვის მეტად გასახარელი და სასიამოვნოა ეს დღევანდელი თქვენი შეკრებილება იმ საღმრთო განზრახვით, რომ ერთი პირით და ერთი გულით ადიდოთ და თაყვანისცეთ, შეუვრდეთ და გამოსთხოვოთ მადლი და კურთხევა თქვენს საკუთარ დედას, თქვენი მწიგნობრობის ჭირისუფალს, თქვენს მფარველს და დამხმარს წმ. ნინოს. დღევანდელი დღესასწაული თქვენი საკუთარი დღესასწაულია. იცოდეთ, შვილებო, რომ როდესაც წიგნს გადაშლით და გაკვეთილის მზადებას წყობილობთ ხოლმე, იმ დროს თავს დაგტრიალებთ თქვენ წმ. ნინო. ნინო თითონ დიდი ბეჯითი იყო სწავლაში და მოწაფეების ბეჯითობა და გამსჯელობა დიდათ ახარებს მას, ხოლო სიზარმაცე და უქმათ ყოფნა მათი ავსებს მისს გულს გამოუთქმელი მწუხარებით. წმ. ნინო სწავლის დროს იყო ყველაფერში მორჩილი და გამგონე თავისი უმფროსებისა და ამითი ანდერძათ დაგიდოთ თქვენც უმფროსებისა, აღმზრდელებისა და მშობლების მორჩილება. თუ ვისმე თქვენგანს არ უყვარს მშობლები და უმფროსები, იმას არც დედობას გაუწევს ღირსი ნინო. წმ. ნინო სულის მშვენებას და დიდებას შეადგენდა მხურვალე სიყვარული ღვთისა და მუდმივი ლოცვა. გიყვარდეთ თქვენც ყველაზე მომეტებულად თქვენი გამჩენი და მაცოცხლებელი ღმერთი, გიყვარდეთ გულსმოდგინეთ ვედრება მისი, თუ გინდათ რომ შეიძინოთ ბედნიერება და გამოხვიდეთ ყველასათვის საყვარელნი და სასარგებლონი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ლოცვა არ გეყვარებათ, სრულებით ფუჭი, ტყუილი და უსარგებლო იქნება თქვენი სწავლა და ცოდნა. ეშმაკსაც დიდი ცოდნა აქვს, მაგრამ რაკი არ შეუძლია და არ უყვარს ღვთის ლოცვა-ვედრება, იგი ყველასთვის ბოროტი და მავნე-

როგორც პატარა ნინომ დაიხსომა თავისი მამის დარიგება და მტკიცედ ასრულებდა მას, გთხოვთ თქვენც ისე დაიხსომოთ ეს ჩემი მცირედი დარიგება და გწამდეთ, რომ თუ ისეთი მხურვალე სიყვარული გექნებათ ქრისტესი, როგორითაც გამ-ჭვალული იყო წმ. ნინო, თქვენც უეჭველად ეყვა-რებით ქრისტეს, ხოლო ქრისტესმიერ შეყვარება ნიშნავს უმაღლეს ბედნიერებას.

ქართველთა განმანათლებელო, ღირსო დედაო ნინო! მოხედე დედობრივი სიყვარულით შვილთა ამათ შენთა, გაუნათლე ამათ გონება და გული ღვთის მეცნიერებით, დაუნერგე მათ მორჩილება სახარებისა; გამოუთხოვე ღვთისაგან გულსმოდგინე-ბა, ბეჯითობა და სიმტკიცე სულისა, მიანიჭე მათ სიყვარული, სიბრალული და ერთგულება მოყვასთა და დაიცევ იგინი ბოროტებისა, ურწმუნოებისა, შფოთისა და მზაკვრებისა. ნ. ამინ.

ეპისკოპოსი დეონიდი.

## საუბარი დაბადებიდან.

### ექვსი დღე შექმნისა.

### III

წიგნი „შექმნათა“, თავი ა.

(შეხედეგი*)

**ლ**ადგა დრო, როცა საყოველთაო ხოსური მდგომა-რეობა უნდა გათავებულიყო. რითი დაიწყო ქვეყნი-ერობის მოწყობა და მოწესრიგება?—«თქვა ღმერ-თმან: იქმნენინ ნათელი, და იქმნა ნათელი.“ ეს სიტყვები, რომლებშიაც ასე ნათლად და ძლიერათ გამოიხატა შემოქმედის ყოვლად-შემძლებელობა, გვი-ჩვენებს, რომ, ყოველთ უწინარეს, თავის ქმნილებაში ღმერთმა ისეთი ნივთიერება, ისეთი ელემენტი შეი-ტანა, რომელიც ყველა ნივთიერებაზე უფრო სუფთა და თხელია, ყველა საგანში ატანს, ყველა ცოცხალ არსებათა სიცოცხლეზე გავლენა აქვს და ქვეყ-ნიერობის უმთავრეს მოვლენათა მიზეზია. უნათელოთ არ იქნებოდა არც ბრწყინვალება, არც სხვა-და-სხვა ფერები, არც სახეები; არ იქნებოდა ფერების დაუ-სრულებელი სხვა-და-სხვაობა, და ამისგამო—არც სილამაზე; ერთი სიტყვით არ იქნებოდა ყოველივე ის, რაც ისე ამშვენებს და ლაზათს აძლევს ამ ღვთის მიერ გაჩენილს ქვეყანას.—სწავლულებმა ბევრი დრო და შრომა დახარჯეს, რომ გაერკვიათ, თუ რა არის ნათელი და რა კანონებს ემორჩილება იმისი მოძრაობა, მაგრამ დღემდის საკმაოთ დადგენილათ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება, სახელდობრ ის, რომ სინათლის მოძრაობის სისწრა-ფე ერთ წუთში უდრის 289,824 ვერსს,—მაგრამ ჩვენ, მორწმუნეთათვის, რასაკვირველია, ეს მეორე ხარისხოვანი საქმეა. ჩვენ ვსტკებებით ნათელით, და ამ ძვირფას განძისათვის უნდა ღვთისადმი აღვავლენ-დეთ მადლობას და კურთხევას. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, ძმანო, რომ ამ ხილულ ნათელს იქით არის კიდევ სხვა ნათელი, რომლითაც მარტო შე-უძლია ჩვენს სულს იცხოვროს და რომლის დასაბამი თვით ჩვენს მაცხოვარშივეა: „მე ნათელი სოფლად მოვივლინე,—ამბობს იგი,—რათა ყოველსა, რომელ-სა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს“ (იოან. XII, 46).

შემდეგ ღმერთმან ბრძანა: «იქმენინ სამყარო შორის წყლისა, და იყავენ განმყოფელ შორის მიწისა და წყლისა»,—და იქმნა ეგრეთ. ეს სამყარო ანუ ცა—არის ჰაერი, რომელი დედამიწას არტყია და რომელსაც მიწის ატმოსფერას ეძახიან. ჰაერის გაჩენასთან ერთად მოხდა წყალთა დაყოფაც, ე. ი. ის ნაწილი წყლისა, რომელიც წინეთ „განუმზადე-ბელ“ დედამიწას ერტყა, დედამიწაზედვე დარჩა, ხოლო მეორე ნაწილი ჰაერს გაჰყვა და ჰაერში დარჩა. და მართლაც, ჩვენი ატმოსფერა მთლათ წყლით სავსეა, პატარ-პატარა წინწკლებისა და ორთქლის სახით. მეცნიერთა გამოკვლევით, იგი ყველა ოკეანეზე, ზღვებზე და მდინარეებზე მეტს წყალს შეიცავს. ეს აუარებელი წყალი რომ ერთ-ბაშათ დედამიწაზე ჩამოიქცეს, ყველაფერს დაალრ-ჩობს და გაქარწყლებს, რაც რამ იმაზე ცხოვრებს. მაგრამ, სამარადისო სიბრძნის კანონის თანახმათ, იგი ჰაერშია გაჩერებული და მხოლოდ წვიმის წვე-თებად და თოვლად ჩამოდის დედამიწაზე,—მისდა გასანაყოფიერებელათ და გამოსაცოცხლებლათ.

ჩვენ დაჩვეული ვართ ჰაერს ისე ვუცქიროთ, როგორც სრულიად უმნიშვნელო საგანს; ნამდვი-ლათ-კი მისი მნიშვნელობა და დანიშნულება მეტათ დიდია. უჰაეროთ ვერც ერთი სულიერი ვერ გას-

*) იხ. „მწყემსი“ № 24, 1903 წ.

ძლებდა დეთამიწაზე, აქ არ იქნებოდა არც მცენარეთა და არც ცხოველთა სამეფო, ყველგან მომაკვდინებელი სიცივე იქნებოდა ვამეფებული და ჩვენი პლანეტა სრულიად დაუსახლებელი დარჩებოდა. აქ არ იქნება ურიგო, შევნიშნოთ, რომ ჰაერი უბრალო, მარტივი ნივთიერება როდია; იგი შედგება რამოდენისამე ძლიერ თხელი ნივთიერებისაგან, რომელთაც გაზებს ეძახიან; იმისდა მიხედვით, თუ რომელი ამ გაზთაგანი უფრო მეტია ჰაერში, უკანასკნელი ზოგჯერ შეიძლება მარგებელი იყოს, ზოგჯერ-კი ძლიერ მავნებელი; მაგრამ ისე კია მოწყობილი, რომ ის ჰაერი, რომელიც სულიერ არსებათათვის მარგებელია, იმავე დროს მავნებელია მცენარეებისთვის (—ეს მაშინ, როცა ჰაერში მჟავბადის გაზი სჭარბობს); ხოლო რომელიც მცენარეებისთვის მარგებელია, მავნებელი გამოდის ცხოველებისათვის (აქ სჭარბობს გაზი აზოტი). პირველ საღსა და ცოცხალ ჰაერს ეძახიან, მეორეს-კი-გაფუჭებულს, წამხთარს. შესუნთქული საღი ჰაერი საოცარ საქმეებს ახდენს: იგი ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, ზოგიერთს მის ნაწილს სისხლად აქცევს, სისხლის მოძრაობას აწესრიგებს, ამით მთელ სხეულს აფხიზლებს და მრავალი კიდევ სხვა, რომლის ჩამოთვლა აქ ძნელია. მაგრამ ამავე დროს შესუნთქული ჰაერი თვითონაც იცვლება სხეულში და იქიდან უკვე წამხდარი გამოდის. აი რისთვისაა მავნებელი, როცა ერთ სადგომში ბევრი პირი ცხოვრობს და სადმე ვიწრო ოთახში იძინებს: იგინი აქ უკვე წამხდარ ჰაერს ისუნთქავენ, რისგანაც ხშირად ბევრნაირი გადამდები სნეულება ჩნდება ჯ ხალხს ღუპავს. „მაგრამ სოფლებ-დაბებში და ქალაქებში ხომ საკმაოთ ბევრი ხალხი სცხოვრობს; მაშასადამე იქ ჰაერი ყოველთვის გაფუჭებული უნდა იქნესო,“—შეიძლება იკითხოთ თქვენ. არა, ქვეყნიერობის ყოვლად ბრძენმა გამჩენმა ეს, როგორც სხვაც ყველაფერი, წინდა-წინვე განსაზღვრა და განაკარგული. ჰაერი რომ უძრავი ყოფილიყო, ყოველგვარი სიცოცხლის ნასახსაც კი მოსპობდა; მაგრამ სწორეთ ამიტო მას კანონად მიცემული აქვს მოძრაობა, მოძრაობა სუსტი ანუ სიო, საკმაოთ ძლიერი ანუ ქარი და მეტათ ღონიერი ანუ ქარიშხალი! და აი, სწორეთ ეს მოძრაობა იცავს იმ თანასწორობას ათმოსფერაში, რომლის წყალობითაც სცოცხლობს ყოველი სულიერი: ადამიანებისაგან ამოსუნთქული ჰაერი, თუმცა მათთვის უკვე უვარგისია, მაგრამ მცენარეებისთვის-კი მეტად მარგებელია და ქარს ტყეებისკენ და ყანებისაკენ მიაქვს; პირ-აქეთ,—მცენარეებისაგან გადამუშავებული ჰაერი, მათთვის უკვე უსარგებლო, მაგრამ ადამიანთა და ყველა ცხოველებისათვის ფრიად სასარგებლო, იმავე ქარს ჩვენი სახლებისაკენ მოაქვს. „მაგრამ ეს ხომ ნამდვილი სასწაულიაო“, იქნებ თქვათ თქვენ, ძმანო. დიახ, ჭეშმარიტად ღვთის მოწყალებისა და სიბრძნისაგან მოვლენილი სასწაულია! მაგრამ განა უფრო მეტათ გასაოცარი ის არ არის, რომ ადამიანები იმდენათ ყრუები და ბრმები არიან ამ სასწაულისადმი, რომ ხშირათ ვერ ხედავენ ღვთის ყოვლად შემძლებელ ძალს—ვერც წყნარ ქარში, ვერც ცხოველმყოფელ წვიმაში; მხოლოდ ერთი ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი თუ მოაგონებს მას და აგრძნობინებს ამ ძალის ყოვლად შემძლებელობას, და ისიც მარტო შიშის და არა სიყვარულის და მოწიწების გრძნობით: განა ეს-კი სასწაულთა სასწაული არაა?!...

შემდეგ ღმერთმან ბრძანა: „შეკრბით წყალი ქვეშე კერძო ცისა შესაკრებელსა ერთსა, და გამოსჩნდინ ხმელი, და იქმნა ეგრეთ“. სიტყვა ღვთისა—მის ყოვლის შემძლე მნებელობაა. ის ინებებს, და ყველაფერი ამ ნებელობის თანახმად სრულდება. მნებელობა და მოქმედება—მასში ერთია და განუყოფელი. ის განუზომელი მუშაობა, რომლის წყალობითაც ხმელეთმა წყალიდან თავი ამოყო, ალბათ შინაგანი ცეცხლის ძალით უნდა მომხდარიყო,—იმ ცეცხლის ძალით, რომელმაც მთები ამოზიდა და ნიადაგი ზღვის ზედაპირს ააცილა. ჯ მართლაც, მეცნიერება ამტკიცებს, რომ ეს ნამდვილათ ასე იყო. რამდენადაც მთები ზევით იწევდა, იმდენათ წყალი დაბლობებში მიდიოდა,—და ამ რიგათ „შეკრბა წყალი ქვეშე კერძო ცისა შესაკრებელთა მათთა, და გამოჩნდა ხმელი“.

და აი წყალთა დაიკავეს ადგილი, ნაჩვენები ღვთის სიბრძნისაგან; გამოჩნდენ სხვა-და-სხვა ხმელეთი ადგილები, ყოველგვარათ მოწყობილნი სიცოცხლის გავრცელებისათვის დედამიწაზე. გარნა სიცოცხლე ჯერ კიდევ არ გამოცხადებულიყო; და არასოდეს არ გამოცხადდებოდა—თავით თვისით, მიუხედავად არსებულ პირობებისა, რომელნიც მზად იყვნენ სასიცოცხლოდ, რაც უნდა სთქვას დამახინჯებულმა სიბრძნემ, რომელიც ქვეყნის თავის-

თავად გაჩენაზე ქადაგებს. თავით, თვისით ულვთოდ და მის უნებურად არავითარი სიცოცხლის გაჩენა არ შეიძლებოდა, რომელსაც ცხადათ ამტკიცებს ჭეშმარიტი მეცნიერება, ის მეცნიერება და გამოკვლევა, რომელიც გამოცხადებულად და სწორად აღიარებს დაბოლოებით თავის გამოკვლევას. არა თუ იმ დროს, როცა მოქმედებდა ბუნება თავისით უსიცოცხლოდ და უაზროდ, არამედ ეხლაც, როდესაც კაცობრიობას თავისი სწავლა-მეცნიერებით და მრავალ საუკუნოების განმავლობაში გამოკვლევების შემძენს ვერ მოუხერხებია სულ უბრალო რაიმე სიცოცხლის წარმოშობა, თუგინდ თვალთი შეუნიშნავი მცირე არსებისაც-კი (инфузоріи); ამისთვის რომ ერთად ერთი სიცოცხლის წყარო არის ქვეყნის გამჩენი. მთელს დედამიწაზე აღიძრა მანობამდინ არ არსებული სიცოცხლე, როგორც-კი ეს ინება ქვეყნის შემქნელმან. „აღმოაცენენ ქვეყანამან მწვანეული თივისა, მთესველი თესლისა ნათესაობისაებრ და მსგავსებისა, და ხე ნაყოფიერი მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლისა მისი მასთანა ქვეყანასა ზედა“.

«და იქმნა ეგრეთ»! გამოიღო ქვეყანამან მწვანილი თივისა: მთესველი თესლისა ნათესაობისაებრ, და მსგავსებისა და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისა! როგორ ხდება ეს, პირველ შეხედვაზე, უბრალოდ, მაგრამ, როცა დავფიქრდებით და გამოვიკვლევთ ბუნების კანონებს მცენარეების გავრცელებაზე, აღზრდაზე და მათ ნაყოფიერობაზე,—ერთი სიტყვით მცენარეების ცხოვრებაზე, მაშინ კაცი ცვიფრდება და თავისი სიბრძნით და სწავლა-მეცნიერებით პასუხს ვერ იძლევა. რა არის ბალახი ველზე? სჩანს, რომ იგი არაფერი არის, მაგრამ რომ აღმოცენდეს იგი, შეერთებული ძალით მოქმედებენ მასზე: სინათლე, ჰაერი, წყალი, მიწა. და მოქმედებენ არა ისე, უბრალოდ, არამედ ერთი ბეწვის ოდნად არ გადასცილდებიან იმ კანონს, რომელიც მათთვის არის ღვთისგან დადგენილი. და კიდეც ამგვარი მუშაობის შემდეგ ბალახი ვერ იცოცხლებდა, რომ ბუნებაზე, რომელიც მკვდარი არის, არ ვრცელდებოდეს სიცოცხლე ცხოვრების წყაროისა, ღვთისაგან (მათე 6, 28). ხოლო რა უნდა ვსთქვათ მცენარეთა სხვა-და-სხვაობაზე?! მეცნიერთა გამოკვლევით დათვლილია 40,000-მდე სხვა-და-სხვა ნათესავისა, და მეცნიერება ფიქრობდა, რომ ამით დაათავა მცენარეების დათვლა, მაგრამ იმ ქვეყნებში, რომელსაც უწოდებენ ცხელ ქვეყნებს და ესრეთ წოდებულ მათ ხელუხლებელ ტყეებს, სადაც ჯერეთ კაცის ფეხი არ დადგმულა, იქ თითო ბიჯზე ჰპოებენ ახალ მცენარეთა, რომელნიც არც არავის უნახავს და არც არავის გაუგონია. და ეჭვს გარეშეა, რომ კაცობრიობამ მიაღწიოს იქამდის, რომ ყველა გვარი მცენარეულობა აღნუსხოს. ხოლო ქვეყნის შემქნელისაგან მარტო ნაბრძანებია: „აღმოაცენენ ქვეყანამან მწვანეული თივისა... ნამდვილად, იქმნა ეგრეთ“!

შემდეგ ღმერთმა ბრძანა: „იქმნენით მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქვეყანისა: განსაყოფელად შორის დღისა, და შორის ღამისა: და იყვნედ სასწაულებად, ჟამებად, დღეებად და წელიწადებად“ (თავი ᲐᲐ მუხ. ᲘᲔ). ესრეთ შეიქმნენ ცათა შინა მზე, მთვარე და სხვა მნათობნი ვარსკვლავთა ბ სამუდამოდ მიენიჭა კანონი მოძრაობისა, რომელ მოძრაობისაგანაც წარმოსდგება ქვეყანაზე ცვლილება ჰაერისა, დღე და ღამისა. შუა გული ჩვენთა მნათობთა შორის დიდი მრგვალი მზე არის, 1,400,000 ჯერ მეტი ჩვენ ქვეყანაზე, იმის გარშემო ტრიალებენ 52 მნათობნი, რომლებთაგანაც უმთავრესია რვა. ჩვენს ქვეყანას ამ მნათობთა რიცხვში უჭირავს მზის მოშორებით მესამე ადგილი, ხოლო იმ ვარსკლავს, რომელსაც ჩვენ უწოდებთ ცისკარს, და რომელიც ყოველივე თავის არსებობის პირობებით ემსგავსება დედამიწას, უჭერია მეორე ადგი. წლიური ბრუნვისაგან ჩვენი დედამიწისა მზის გარეშემო წარმოსდგება გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი; 24 საათის დროის ჩვენი ქვეყნის ბრუნვისაგან, ესრეთ ვსთქვათ, თავის ღერძზე, წარმოსდგება ცვლილება დღისა ბ ღამისა. მთვარეც დედამიწის თანამგზავრია.

რა ძალას უჭერია სამყაროს ჰაერზე ყველა ეს მნათობნი და რა ამოძრავებს მათ ასე უცვლელი თანასწორობით მზის გარშემო?.. სიბრძნე კაცობრიობისა ათასი წელიწადია, რაც მეცადინობს, რომ შეისწავლოს და მიხვდეს ამ ძალას და გადაწყვიტა მარტო ის, რომ ეს ძალა უცნობია, მხოლოდ უნდა ვუწოდოთ მას ბრუნვის ძალა. ხოლო ჩვენ, ძმანო, მიზეზი ამ ძალისა შეტყობალი გვაქვს: ეს ის ძალაა, რომელიც მიანიჭებს სიცოცხლეს ყოველს ცხოველს, რომელმანაც ყოველივე შექმნა და ყოველივე უპყრია თავის მფლობელობაში. მცენარეების აღმო-

ცენების შემდეგ მოხდა შექმნა ცხოველებისა,— თავდაპირველად დაბალი რიგის ცხოველთა; რქვა ღმერთმან: „გამოიღედ წყალთა, ქვეწარმავალები სამშვინველთა ცხოველთა: და ფრინველები მფრინვალენი ქვეყანასა ზედა, სამყაროსა ქვეშე ცისასა. და შექმნა ღმერთმან ვეშაპნი დიდნი: და სამშვინველი ყოველთა ცხოველთა ქვეწარმავალთა, რომელნიც გამოიღეს წყალთა ნათესაობისაებრ მათისა: და ყოველნი მფრინველნი მფრთოვანნი ნათესაობისაებრ (თავი ᲐᲐ, მუხ. ᲙᲐ—ᲙᲐᲐ). და შემდეგ ცხოველნი უმაღლესი რიგისა, ეგრედ წოდებულნი ძუძუ-მწოვარნი. შემდეგ რქვა ღმერთმან: „გამოიღედ ქვეყანამან ცხოველნი სამშვინველითა თვისითა ნათესაობისაებრ მათისა: ოთხფეხნი და ქვეწარმავალნი და მხეცნი ქვეყნისანი ნათესაობისაებრ მათის : „და იქმნა ეგრედ“. (თავი ᲐᲐ, მუხ. ᲙᲛ). ბოლო ქმნილება ქვეყნიერ ქმნილებათაშორის იყო კაცი

რა ვსთქვათ, ძმანო, ამ სიცოცხლის სიმრავლეზე, რომელმაც შემოქმედის სიტყვით აღავსო წყალნი, ჰაერი და ქვეყანა ყოველგან? რაღა ვსთქვათ, როდესაც კაცმა ათასი წლის განმავლობაში ვერ შეიძლო დაეთვალა დანამდვილებით ყველა ნათესავები არსებულ ცხოველთა? რა უნდა ვსთქვათ, როდესაც კაცი ბუნების მეცნიერებაში აქამდინ ორი-სამი ასოს მეტს ვერ გასცილებია და გასცილდება კიდევ თუ არა—ღმერთმან იცის! რა უნდა ვსთქვათ, როდესაც კაცის სიბრძნემ და ცოდნამ დღემდის ვერ განმარტა თუ რისთვის არსებობენ სხვა ქმნილებათა შორის სხვა-და-სხვა ცხოველები, რომელნიც არა თუ უსარგებლონი არიან, არამედ დიდად მავნებელნი და სხვა...არაფრის თქმა არ შეიძლება, თვინიერ ფსალმუნთა მგალობელის სიტყვათა: „ვითარ განსდიდენ საქმენი შენნი, უფალო, რამეთუ ყოველივე სიბრძნი ჰქმენ“.

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება)

## ცხოვრება

### წმიდისა მამისა ჩვენისა

### ნიკოლოზ საკვირველთ მოქმედისა.

(გაგრძელება*)

მაშინ ყველა იქ მყოფი მხურვალეთ შეევედრა ღმერთს, რომ მას ეჩვენებია მათთვის ამ ადგილის ღირსი კაცი. უფალმა ისმინა მათი მხურვალე ლოცვა და გამოუჩინა მათ თავისი ნება. ერთმა უფროს ეპისკოპოსთაგანმა ლოცვის დროს იხილა კაცი გაბრწყინვებული არა-ქვეყნიერი ნათლით, რომელმაც უბრძანა მას წასულიყო ღამით, დამდგარიყო ტაძრის კარებში და ლოდინებოდა მომსვლელებს.

„ის, ვინც პირველი შევა ტაძარში, სთქვა მან, იქნება აღრჩეული უფლისა. სახელი მისი ნიკოლაოზი“. ეპისკოპოზმა ეს ჩვენება მაშინვე უამბო სხვა ეპისკოპოზებს და მერე, როგორც გამოცხადებული ჰქონდა, დადგა ეკკლესიის კარებთან, სხვები კი ტაძარში შევიდენ. წმიდა ნიკოლოზი ქალაქ მირონში სცხოვრობდა როგორც ერთი უბრალო ვინმე, ასე რომ მას ვერც კი იცნობდენ, და მთელ დროს ატარებდა ლოცვასა და ღვთის ვედრებაში. იმ ღამეს, როცა ეპისკოპოზები ტაძარში შეიკრიბენ და ელოდენ ღვთისგან საეპისკოპოზოთ აღმორჩეულ პირს, წმიდა ნიკოლოზი ჩვეულებისამებრ ადგა შუაღამისას და მივიდა ეკკლესიაში ცისკარზე ყველა სხვა მლოცველებზე წინ. შევიდა თუ არა ტაძრის კარებში, ეპისკოპოზმა შეაჩერა იგი და ჰკითხა მას სახელი. სათნო-მყოფელმა უფლისამ უთხრა მას თავისი სახელი. ეპისკოპოზი მიხვდა რო ეს იყო ღვთისგან საეპისკოპოზოთ ამორჩეული პირი, დააყენა იგი ამომრჩევლების წინ ⁄ გამოუცხადა ნიკოლოზს რომ თვითონ ღმერთმა უჩვენა მათ იგი მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოზათ. ეს ხმა სწრაფათ გავარდა მთელ ქალაქში, და ხალხი საჩქაროთ შეიკრიბა ტაძარში, ეპისკოპოზი, რომელმაც მიიღო გამოცხადება უფლისაგანა დადგა შუაგულ ტაძარში, უჩვენა წმიდა ნიკოლოზი ხალხს და უთხრა: „მიიღეთ მწყემსი, რომელიც აღმოაჩინა სულმა წმიდამან და რომელსაც თვითონ ღმერთმა ჩააბარა მოუაროს და უპატრონოს სულთა თქვენთა“. ხალხი ამით აღტა-

*) იხ. „მწყემსი“ № 23, 1903 წ.

ცებაში მოვიდა და მადლობდა უფალს; ხოლო ეპისკოპოზებმა კი იმავე დღეს მღვდელი ნიკოლოზი აღიყვანეს ეპისკოპოზის ხარისხზე.

შეიქმნა რა არქიეპისკოპოზათ, წმიდა ნიკოლოზმა გაიგო ის ღვაწლი, რომელზედაც იწვევდა მას თვით უფალი. მას კარგათ ახსოვდა მცნება უფლისა, რომელიც მან მისცა მოციქულებს და მათ მოადგილეებს ეკკლესიის მწყემსთა: „ისე ბრწყინავდეს ნათელი თქვენი (ნათელი თქვენი კეთილი ცხოვრებისა) კაცთა წინაშე, რომ მათ, იხილონ რა თქვენი კეთილი საქმენი, ადიდონ მამა თქვენი ზეციერი“. აგრეთვე ახსოვდა მას მოციქული პავლეს სიტყვებიც ეპისკოპოზ ტიმოთეს მიმართ: სახე-ექმნენ (იყავ მაგალითი) მორწმუნეთა ამათ სიტყვითა, ცხოვრებითა, სარწმუნოებითა„. ამისთანა მაღალმა და თანაც საპასუხო მოვალეობამ გადააწყვეტია ახალ მღვდელ-მთავარს შეეცვალა წინანდელი თავისი განმარტოვებული ცხოვრება ყველასათვის გამოჩენილ და დასანახავ ცხოვრებაზე, რომ ამით ის თავის სამწყსოსათვის შექმნილიყო მისაბაძავი. მართლაც თავისი წმინდა ცხოვრებით ღრმა და მტკიცე სარწმუნოებით და ყოველ კაცთადმი ფრიად მაღალი ქრისტიანული სიყვარულით—ის ყველასათვის მაგალითი იყო. მისი სახლის კარები ყველასათვის და ყოველთვის ღია იყო; ყველას სიყვარულით და სიამოვნებით ღებულობდა. იგი იყო ნამდვილი მამა ობოლთა; ნუგეშინისმცემელი მტირალთა და შევიწროებულთა. გულმოდგინეთ ისმენდა ყველას თხოვნას და საჩივარს. ხალისით აძლევდა შემწეობას და რჩევა-დარიგებას,—ვინც-კი მას მიმართავდა და თამამათ, გაბედულათ ივარავდა უდანაშაულოთა, შეწუხებულთა და შევიწროებულთ.

მაგრამ ამნაირი კეთილი მოქმედება ქრისტეს მწყემსისა დროებით შეწყვეტილი იყო ქრისტიანებზე დევნის გამო. მეოთხე საუკუნის დამდეგშივე, ქრისტეს დაბადების შემდეგ, 303 წელს, რომის იმპერატორმა დიოკლიტიანემ, რომელიც შეგონებული იყო მხედართ-მთავრის გალლერიისაგან, გამოსცა ბრძანება დაემგვრიათ ქრისტიანების ტაძრები, დაეწვათ მათი წიგნები და დაეთხოვათ ყველა ქრისტიანები სახელმწიფო სამსახურიდგან. შემდეგში ამ ბრძანებას მან ისიც მიუმატა, რომ ყოველი ღონე ეხმარათ და ქრისტიანებისათვის უარი ეთქმევინებიათ ქრისტეს სარწმუნოებაზე; თუ ვინმე ქრისტიანთაგანი ამ განკარგულებას არ დასთანხმდებოდა და ქრისტეს სარწმუნოებას არ განუდგებოდა, ის სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ამნაირი ბრძანება—ნამდვილი ომის გამოცხადება იყო ქრისტიანებისათვის. თითეულ ქალაქში ხალხის აღწერა მოახდინეს. შემდეგ ამ სიებით ხალხს იბარებდენ, რომ ყველას სათითოოთ მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის! გაქცევა, დამალვა თითქმის შეუძლებელი იყო და ძალიან იშვიათად მოხდებოდა, რომ ამით ვინმე განსაცდელს გადარჩენოდა. ქრისტიანებს აყენებდენ საშინელ და შემაძრწუნებელ ტანჯვებს. ზოგს ხორცს უხეთქავდენ და უგლეჯდენ მათრახის ცემით, ან და რკინის კავით და გახურვებული გაზით, ზოგს ჰკიდებდენ თავდაღმა, ზოგს აღუღებულ ტყვიას ასხავდენ თავზე და სხვა მრავალი ამისთანა. სიმხეცე და შეუბრალებლობა მტანჯველთა ხან-და-ხან იმდონზედაც-კი მიდიოდა, რომ დამახინჯებულთ უვლიდენ და ექიმობდენ იმ განზრახვით, რომ ისინი მერე ისევე ეტანჯათ. ხოლო ყოველივე ამას სჩადიოდენ მისთვის, რომ ამგვარ ტანჯვებს ვერ გაძალებოდენ ქრისტიანები, უარი ეთქვათ ქრისტეს სარწმუნოებაზე და ამნაირათ არ მინიჭებოდათ მათ მოწამეთა სახელი. „მე თვითონ ვიყავი მოწამე მისი, ამბობს ევსევი, თუ რკინის მახვილი როგორ ჩლუნგდებოდა და ტყდებოდა, ან და ჯალათნი მეტის ჯაფისაგან როგორ იქანცებოდენ, ველარ უძლებდენ ქრისტიანების ხოცვას და მორიგობით ერთი მეორეს ეშველებოდა. მე ვხედავდი გასაოცარ სიყვარულს ღვთისადმი, ჭეშმარიტ ღვთაებრივ ძალას და მორწმუნეობას ქრისტეს მორწმუნეთა შორის. ერთის სასჯელი არ იყო ჯერ კიდევ გამოცხადებული, რომ დაუყოვნებლივ მეორე მოდიოდა, აცხადებდა თავს ქრისტიანათ, გეგონებოდა, არც კი ფიქრობს ეს იმაზე, თუ ამისათვის რა საშინელი ჯ რა მრავალგვარი სასჯელი მოელოდა მას.

ამ საშინელ დროს წმიდა ნიკოლოზმა თავისი შრომა გააორკეცა. ის მუდამ იმას ცდილობდა რომ ყველგან და ყველასათვის ყოფილიყო ნუგეშინისმცემელ ანგელოზათ. თავისი მუდმივი და განუწყვეტელი მოძღვრებით, სწავლით და დარიგებით ის განუმტკიცებდა თავის სამწყსოს ქრისტეს სარწმუნოებას და სიყვარულს. ამისათვის შეუბრალებელმა მდევნელებმა შეიპყრეს იგი და სხვა ქრისტიანებთან ერთად ჩააგდეს საპყრობილეში. ამ ტუსაღობაში

მან დაჰყო გვარიან ხანს. გასაკვირველი მოთმინებით იტანდა იგი იმ სასტიკ ტანჯვებს, რომელთაც მას აყენებდენ ურწმუნოები. იგი ანუგეშებდა თავისი საუბარით სხვა ტუსაღებს, უქადგებდა მათ ქრისტეს სწავლას, ამხნევებდა მათ მოეთმინათ ყოველი ღვაწლი და ტანჯვა იესო ქრისტეს გულისათვის,—ასე რომ სატუსაღოც-კი წმიდა ნიკოლოზისათვის სასარგებლო გამოდგა.

რვა წელიწადს გასტანა ქრისტიანობის დევნამ. მართალია, ხან-და-ხან ეს დევნა თითქმის მისუსტდებოდა ხოლმე, ისეთი სასტიკი აღარ იყო და მაშინ ქრისტიანები ისევ მხნევდებოდენ, მაგრამ მტრები, როგორც-კი დაინახავდენ, რომ მათ ჯერ კიდევ ვერ მოუსპიათ ქრისტიანობა, ისევ ამხედრდებოდენ, ისევ იღვიძებდა მათი საზიზღარი სიმძულვარე და დევნა ისევ ძლიერდებოდა, მწვავდებოდა.

ბოლოს, ხანგრძლივი და შეუპოვარი ღელვისა და შფოთის შემდეგ, ქრისტეს ეკლესიის მდგომარეობა გაუმჯობესდა, რადგან იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, რომელიც მდევნელ და შეუბრალებელ დეოკლიტიანეს შემდეგ ტახტზე ავიდა, ქრისტიანებს მფარველობა დაუწყო და შემდეგ თვითონაც კი მიიღო ქრისტიანობა. ერთხელ კონსტანტინემ ძალითა ჯვარისათა სძლია თავისი მტერი. ომის წინ მან დაინახა ცაში ჯვარი, რომელზედაც ეწერა: „ამით სძლევდე“. მან მოუწოდა ქრისტიანებს და ჰკითხა, თუ რას ნიშნავდა ამნაირი ჩვენება. ქრისტიანებმა მიუგეს, რომ ჯვარი არის ნიშანი უკვდავებისა და გამარჯვებისა სიკვდილზე;—ნიშანი იმ გამარჯვებისა, რომელიც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მიიღო თავის ქვეყნათ ყოფნის დროს. კონსტანტინე გაოცებული იყო ამ ამბით და იმ დღიდგან გადასწყვიტა ედიდებია ჭეშმარიტი ღმერთი და ხელი მიჰყო საღმრთო წერილის შესწავლას.

კონსტანტინემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც აცხადებდა სარწმუნოების სრულს თავისუფლებას და რომლის ძალით იმ დღიდგან ქრისტიანები აღარ უნდა დევნულიყვენ. კონსტანტინეს ქრისტიანებისადმი სიყვარული და პატივისცემა უფრო გარკვევით და ნათლათ გამოჩდა კიდევ მის მეორე ბრძანებაში, რომელიც მან გაუგზავნა თემის უფროსთ და რომელშიაც ის ამტკიცებდა ქრისტიანობის ჭეშმარიტებას და ძალას ხოლო კერპთაყვანისმცემლობისას-კი—ამაოებას: «გეუბნებიან შენ, ღმერთო დიდებულო, ამბობდა ის თავის ბრძანებაში, იყავ მოწყალე და კეთილის მყოფელი ერისა შენისა და ჩემ მიერ, მსახურისა შენისა, მოანიჭე კურნება ყოველსა კაცსა“.

მეფის ამისთანა ბრძანებამ მიანიჭა ეკლესიას ზავი და მშვიდობა. „მაშინ, სწერს ევსევი, თითქოს ღამის წყვდიადის უფსკრულიდგან გამოანათა რაღაცა ნათელმა. თვითეულ ქალაქში იწყეს ტაძრების აშენება, სადაც მრავალი ქრისტიანები იკრიბებოდენ სალოცავათ. სარწმუნოებისათვის მამაცი და მხნე თავგანწირულნი, რომელნიც განთავისუფლდენ მაღაროებში წვალებისა და აუტანელი შრომისაგან, წარმოიდგენდენ რა სრულს თავისუფლებას, გახარებული და გამხნევებული ბრუნდებოდენ თავიანთ სახლებში. მღვდელმთავრები თავისუფლათ იკრიბებოდენ და ბჭობდენ ეკლესიის საჭიროებაზე და საქმეებზე. ხან-და-ხან მეფეც-კი ესწრებოდა ამისთანა კრებებს. ის მზად იყო აღესრულებია ყველაფერი, რაც კი სარგებლობას მოუტანდა ქრისტიანობას და უხვად აძლევდა შემწეობას საეკლესიო შენობებისათვის, ასე რომ, სულ მოკლე დროებში სხვა-და-სხვა ადგილებში აშენდა მრავალი დიდებული და შესანიშნავი ტაძარი. მაშინ წმიდა ნიკოლოზიც დაუბრუნდა თავის ეპისკოპოსობის მსახურებას და, ქრისტიანულ კანონების მფარველობის ქვეშ მყოფი, სრულიად თავისუფლათ განაგრძობდა შრომას თავისი სამწყსოს კეთილდღეობისათვის.

მაგრამ ქრისტეს ეკლესიას დანიშნული აქვს ებრძოლოს არამც თუ გარეშე მტრებს, არამედ შინაურსაც, რისთვისაც იგი იწოდება «მბრძოლავ» ეკლესიად. მართალია, ქრისტიანების დევნა კერპთაყვანის-მცემლებისაგან შეწყდა, მაგრამ, სამაგიეროთ ახლა შინაურმა უთანხმოებამ იჩინა თავი. ერთი ალექსანდრიელი (ქალაქია ეგვიპტეში) მღვდელი სახელათ არიოსი, უარ-ჰყოფდა იესო ქრისტეს ღვთაებას. არიოსი სჩანდა ჭკვიან, განვითარებულ და მასთანვე წმიდა ცხოვრების კაცად, რისთვისაც მის სიტყვებს ბევრი დიდის რწმენით ღებულობდა.

მდ. ბ. კაბანაძე.

(შემდეგი იქნება)

## მოძღვრება.

თქმული წ. ნინოს დღეობის დაისად.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

მადლითა ღ ღვთის შეწევნითა ესაა, მსმენელნო, გადავიხადეთ მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე და დიდებული დღესასწაულნი—შობა, ხორცითა წინადაცვეთა და ნათლისღება. ჯერ მთლად განვლილად და გასტუმრებულადაც არ მიგვაჩნია ეს ბედნიერი დღეები, ჯერ ისევ აღფრთოვანებული და ცხოველი სიხარულითაა მათ გამო აღვსილი ჩვენი სული, ჯერ კიდევ მათ საღმრთო შთაბეჭდილების ქვეშე ვიმყოფებით და, აჰ, ეკკლესია კვალად გვეპატიჟება სადღესასწაულოდ, კვლავ გვიბძანებს გაუხსნათ გული სულიერი შვების ახალ სხივებ , დავეწაფოთ სულიერი ბედნიერების წმინდა წყაროს ახალ ნაკადულთ. ასე უხვი და ხელგაშლილია წ. ეკკლესია ჩვენი სულიერი ბედნიერების საქმეში, ასე ხელ-შეწყობით და მრავალგვარად გვასაზრდოებს იგი სულიერად! მან გაგვამხნევა, გვანუგეშა, გაგვახარა და გაგვაცოცხლა ქრისტეს დიდებული დღესასწაულებით როგორც მართლმადიდებელნი, როგორც ქრისტეს რჯულის მიმდევარნი საზოგად ად. შობა და ნათლისღება ქრისტესი ერთნაირად გასახარებელი და სათაყვანოა როგორც რუსთათვის, ისე ბერძნებისა და ქართველებისათვის, როგორც ფრანგებისა, ისე სომხების და საზოგადოთ ქრისტიანეთათვის. დღეს კი სულ სხვაგვარია წ. ეკკლესიის სურვილი: ქრისტეანეთაგან გვარჩევს კერძოთ ჩვენ,—ქართველებს,—მარტო ჩვენ, ქართველებს მოგვმართავს თავისი ტკბილი ხმით, განსაკუთრებით ჩვენ გვეკუთნის დღეს მისი გული და პირი, ქართველს, მხოლოდ ქართველს აღძრავს იგი, როდესაც ხმა მაღლა ღაღადებს და ბრძანებს: „ნინოს ხსენება ხსენება სიხარულისა ღირს არს, გუნდი განვაწყოთ მორწმუნენო... ჩი მეფობანო ქართველთანო, იხარებდ, რამეთუ ნინომ დაგადგა შენ გვირგვინი ქრისტესმიერი ზოგადი, კრება ჰყავ დღეს, რამეთუ მოციქული ჩვენი მოგვიწოდს...მოვედით ყოველნი... ყვავილთა მიერ სიტყვისათა ქებას შევასხმიდეთ მოციქულსა, ქადაგსა და მახარებელსა ქართველთა მზესა ბრწყინვალესა, ებანსა სულიერსა, საყვირსა ღვთივ მობერილსა, ნინოს ღვთივ განბრძნობილსა (სადღეს. 14 იანვარს) და სხ. მოყვანილი სიტყვებიც თვალნათლად და ცხადად გვიჩვენებენ რა ნაირი აღტაცებით ღ აღფრთოვანებით ეგებებოდენ ძველათ ქართველები წ. ნინოს ხსენების დღეს; გაგონილიც სრულებით საკმარისია იმის წარმოსადგენად და მისახვედრად თუ რა წარმტაცი, მიმზიდველი და დამატყვევებელი გავლენა ჰქონდა ძველათ, წ. ნინოს სახელს ქართველი კაცისა და ქალის გულსა ღ გონებაზე; ყველასთვის საყვარელი და წმიდა იყო იგი სახელი, ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა ამ საღმრთო პირის მომეტებულ პატივისცემის გამოთქმა-გამოხატვაში და განხორციელებაში. ამითი აიღსნება, რასაკვირველია. თვითეულ ეკკლესიაში აუცილებლობა მისი წ. ხატისა.

ღვთის მადლით დღესაც ბევრგან შესაფერისი გულსმოდგინებით სრულდება ჩვენში ჩვენი მოციქულის ხსენება, დღესაც ბევრგან ხსენება ნინოსი შეუკავებლად იზიდავს ქართველთა სიმრავლეს, თუ ქალი, თუ კაცი, თუ თავადი, თუ გლეხი დღესაც ბევრგან საღმრთო და აუცილებელ მოვალეობად ჰსთვლიან დაიტკბონ გული და გონება წმ. ნინოს სადიდებლად განწესებული საკითხვებისა და საგალობლების მოსმენით, დღევანდელი საღამოს მღვდელმსახურება და ხვალინდელი საღმრთო წირვა რადაც განსაკუთრებული ბედნიერებისა სიოს ჰფენს მათ გულს, უფრო მეტს სიხარულს, მეტს კელილ გრძნობას, მეტს მხნეობას და თვით ცნობიერებას უღვიძებს ბევრს ქართველს, ვიდრე სხვა დროინდელი, სხვა დღესასწაულის წირვა და ლოცვა. დღეს ბევრი ქართველი დღესასწაულობს და გახარებულია არა მარტო იმითი, რომ იგი ქრისტიანია, მონათლულია, იგი მიმდევარია უკვდავი ჭეშმარიტებისა, არამედ იმითიც, რომ ეს ბედნიერება და ღვთის კურთხევა შეკავშირებულია შედეგებული და შესისხლხორცებულია მისს ეროვნებასთან, მისს ვინაობასთან, მისს ხალხოსნობასთან. სწორეთ დაუვიწყარია ის დიდებული სურათი, რომელსაც მიიღებს ხოლმე დღევანდელ საღამოს და ხვალინდელ დღეს დედა თბილისის ეკკლესიათა-სიონის ქებული ტაძარი: უშველებელი ტაძარი, მისი „გალავანი და მთლათ მიდამო დაჭერილია ხოლმე აუარებელი მლოცველებით. ამასთან ყველას ციური შუქი აფენია სახეზე, ყველა ბედნიერად გრძნობს თავის თავს, დიდი და პატარა გახარებული ულოცავენ ერთმა-

ნეთს ბედნიერ დღეს! ჩემს სიცოცხლეში არ გამომივა მეხსიერებიდან ის ლმობიერება და საღმრთო გრძნობა, რომლითაც დღევანდელ საღამოს გარს ევლება ხოლმე მთელი ქიზიყი წმ. ნინოს საფლავს. ნინოს სახელის გაგონება, ნინოს ხატის დანახვა ციური სიამოვნების ჟრუანტელს ჰგვრის ქიზიყელს ტანში, ნინოს საფლავის თაყვანისცემით დამტკბარნი და გამხნევებულნი, გულ-გაუტეხალად და მამაცურად ეწევიან ქიზიყელები ცხოვრების მძიმე უღელს. ამგვარათვე პატივს ცემენ ქართველთა განმანათლებელის ხსენებას, წარმოიდგინეთ, ჩვენი ქვეყნის ისეთი განაპირა ქართველებიც-კი, როგორც ინგილონი, ახალციხის მაზრელები და კავკავში მცხოვრებნი!

მით უფრო სამწუხაროა, მით უფრო სასირცხო და დასაგმობია ის საოცარი, დაუჯერებელი გულგრილობა, განურჩევლობა და დაუდეგრობა, რომელსაც იჩენს ამ შემთხვევაში დანარჩენ თავის თანამოძმეებთან, შედარებით უფრო შეგნებული, გონებით განვითარებული და ეკკლესიური მიმართულებით ვითომდა მაღლა მდგომი დასავლეთის ქართველობა. აქ ხსენებაც არაა ნინოობისა, აქ თოთხმეტი რიცხვი იანვრისა სულ უბრალო, სადაგი და ჩვეულებრივია! რითი ავღსნათ ეს გარემოება? რას მივაწეროთ ეს ძნელად დასაჯერებელი ამბავი და რა მივიღოთ მისს მიზეზად ნუთუ „ქართველთა განმანათლებელი“ აქაური ქართველების განმანათლებელი კი არ იყო? ნუ-თუ აქაურები ასე საარაკო უმადურები არიან და არ იციან, არ მოსდგავთ მათ ჩვეულებად თავიანთი კეთილისმყოფის დაფასება და სიყვარული? არა; დიდი დანაშაული ეს ცილის წამება იქნება როგორც პირველი, ისე მეორე აზრის მიღება და დაჯერება. აქაური ქართველები არ იცნობენ თავიანთ განმანათლებელს და ამის გამო არა აქვთ მისი მხურვალე სიყვარული იმის გამო, რომ ამისათვის სრულებით არ უფიქრიათ და არ უზრუნვიათ ვინც ვალდებულნი იყვნენ ამაზე ფიქრსა და ზრუნვას. აქ დანაშაული მთელი თავისი სიბრძნით ატყდება თავს აქაური ეკკლესიის წარმომადგენელთ, აქაურ სამღვდელოებას. ამ შემთხვევაში, უეჭველია, ჩვენ შესახებაც ჰბრძანებს უფალი: „მღვდელთა მათთა შეურაცხ ყვნეს შჯული ჩემი და მწიკვლევან ჰყოფდეს წმიდათა ჩემთა. შორის წმიდისა არა განარჩევდეს, და შაბათთაგან ჩემთა დაიფარვიდეს თვალთა მათთა (ეზეკ. 22, 29). სატირალია, ჭეშმარიტად სატირალი და საგლოვია ასეთი შეუგნებლობა სამღვდელოებისმხრივ თავისი უზენაესი მოვალეობისა, მაგრამ, იმედია, მომავალში მაინც გამოისყიდის იგი ამ მძიმე დანაშაულს, ამიერიდან ეცდება, რამდენადაც-კი შეუძლია, პირნათლად შეასრულოს თავისი განმანათლებელის სამსახური. მე-კი გულსმოდგინეთ გეველრებით, მორჩილებით და გულით გთხოვთ ქალსა და კაცსა, სწავლულს და უსწავლელს, სოფლელს და ქალაქელს თქვენდა საბედნიეროდ, თქვენდა სასიხარულოდ, თქვენდა სასახელოდ და ღვთის კურთხევის შესაძენად გაითვალისწინოთ დიადი მნიშვნელობა დღევანდელი დღისა მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და დაიდვათ იგი თქვენ საკუთარ დღესასწაულად, ვალად გაიხადოთ სრული, გაუტეხელი აუცილებელი და ეჭვს გარეთი უქმობა მისი სულიერი მხიარულებით. იცოდეთ, რომ იმისთანა წმინდანების დავიწყება, როგორიც არის მოციქულთა სწორი დედა ნინო, სწორეთ ის უმწიფარი ხილია (კაწარი), რომელსაც მამანი სჭამენ და შვილებს კი კბილებს აკვეთს (იერემ. 31, 29). ᲐᲛᲘᲜ.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

წმიდა ნინო.

# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

## საეჯვო კითხვების განმარტება

კით. ავად-მყოფობის გამო, რომ მღვდელი თავს ანებებდეს სამსახურს პენსიის დროის გასრულებამდის საკმაო არ არის მარტო ერთი ექიმის მოწმობა?

მიგ. ავად-მყოფი მღვდლისა და მედავითნის შემოწმება, სრული პენსიის მისაღებად 35 წლის სამსახურის გასრულებამდისინ, უნდა მოხდეს სასულიერო მთავრობის ანუ რომელიმე დაწესებულების განკარგულებით და წინადადებით დეპუტატის თანადასწრებით, უთუოდ გუბერნიის ქალაქში გუბერნიის საექიმო მმართველის თანადასწრებით ან, თუ ავად-მყოფობის მიზეზისა გამო შესამოწმებელი პირის წაყვანა არ შეიძლება გუბერნიის ქალაქში, მაშინ შემოწმება შეიძლება მაზრის ქალაქში—მაზრის საექიმო დაწესებულების წარმომადგენელთაგან, ან ქალაქებში ქალაქის საექიმო დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან. ამ უკანასკნელთაგან მიცემული შემოწმება უთუოდ დამოწმებული უნდა იყოს გუბერნიის საექიმო სამმართველოსაგან. ამისთანა შემოწმება უნდა იქნეს წარდგენილი მღვდელთმთავართან შტატგარეთ დათხოვნის ქალალდთან ერთად. თუ მოწმობით დამტკიცდა სნეულება მთხოვნელისა პენსიის წესდებულების მეთერთმეტე მუხლის თანახმად მაშინ მიიღებს ორას მანეთს და თუ მთხოვნელის შემოწმება იქმნა თანახმად იმავე წესდებულების მე12-ტე მუხ. თანახმად მაშინ მიეცემა სამასი მანეთი. როცა სნეულების გამო პენსიის დროის შემოკლებას ითხოვენ ჯანმრთელობის შემოწმებასთან უნდა წარდგენილ იქმნეს ნამსახურებითი სიაც.

კით. მე ვემსახურე მთავარ დიაკვნად 32 წელიწადი და ხუთ წელზე მეტი მღვდლად, დღეს ვმსახურებ მთავარ დიაკვნის ადგილზე. მერგება თუ არა სრული პენსია მღვდლისა ე. ი. 300 მან.?

მიგ. სრული პენსია გერგებათ, ვინაიდგან მედავითნის სამსახური დაეთვლება მღვდელს თუ მღვდლობაში ხუთი წელიწადი უმსახურნია.

კით. წლისა და ნახევრის სამსახური ბლაღოჩინობის თანამდებობაზე, მიანიჭებს თუ არა მთხოვნელს ცოტა რამე მეტ პენსიას?

მიგ. სამწუხაროდ, ზოგიერთ ამ კითხვის განმარტების მკითხველთა, უნდა ვაუწყოთ, რომ პენსიის წესდებულებით მათ ზედმეტი პენსია არ მიეცემათ. კანონით-კი შეუძლიათ თუ რამე ხარჯი მოუვიდათ ასე მოკლე დროით ბლაღოჩინობის თანამდებობის მიღებით მოითხოვონ სათანადო დაწესებულებათაგან დანახარჯი!..

კით. შეუძლია თუ არა სამინისტრო სკოლის მეთვალყურეს, რომელიც ათი წელიწადი მსახურებდა მასწავლებლად, მღვდლად ეკურთხოს?

მიგ. ჩვენში სამინისტრო სკოლებს უსაფუძვლოდ უწოდებენ სახალხო სკოლებს, რომელნიც ხალხის გადასახადით არსებობენ. თუ მასწავლებელთა სემინარიის კურს დამთავრებულია შეუძლია. თუ სემინარიელი არ არის—არ შეუძლია.

კით. შეუძლია თუ არა მაზრის მეთვალყურეს ქალაქის ან სამრევლო სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებლად იყოს?

მიგ. ჩვენში შეუძლია, მაგრამ იქ სადაც მტკიცედ ითხოვენ მაზრის მეთვალყურისაგან მისი მოვალეობის აღსრულებას—არ შეუძლია.

## რედაქციის პასუხი.

მ. გ—ძეს. დავითნი არსად იშოვება დღეს გასასყიდელი. არის მხოლოდ მხედრული ასოთ დაბეჭდილი ბრიტ. საზ. და ღირს 20 კ.

მდ. ბ. კ—ს. თუ მასწავლებლად ან მედავითნედ არ არის სადმე დანიშნული, ვერ დაიფარავს თავს სალდათად მსახურებისაგან. ერთი წლის ვადა კურსის გათავების შემდეგ მარტო სემინარიელებს ეძლევათ.

მდ. ალ. შ-ძეს. 1897 წელში გამოგზავნილი კორრესპონდენციების დაბრუნება არ შეგვიძლია, რადგან ხუთი წლის განმავლობაში არ ინახავს რედაქცია გამოგზავნილ სტატიებს. წიგნი მივიღეთ, მაგრამ პატარა წიგნის („მათკოს") ფასი არავის მოუტანია.

# საჭირო კლენდარული ცნობანი.

| თოგენი. | რიხვი | ბეჭრ. | ხმ. | სტ.ს. | თოგენი. | რიტხ. | ბეჭრ. | ხმ. | სტ.ს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იანვარი. | 4 | 32 | 7 | 10 | ივლისი. | 4 | 7 | 6 | 7 |
| | 11 | 33 | 8 | 11 | | 11 | 8 | 7 | 8 |
| | 18 | 34 | 1 | 1 | | 18 | 9 | 8 | 9 |
| | 25 | 35 | 2 | 2 | | 25 | 10 | 1 | 10 |
| თებერვალი. | 1 | 36 | 3 | 3 | აგვისტო. | 1 | 11 | 2 | 11 |
| | 8 | 37 | 4 | 4 | | 8 | 12 | 3 | 1 |
| | 15 | 1 | 5 | 5 | | 15 | 13 | 4 | 2 |
| | 29 | 2 | 6 | 6 | | 22 | 14 | 5 | 3 |
| | | | | | | 29 | 15 | 6 | 4 |
| მარტი. | 7 | 3 | 7 | 7 | | | | | |
| | 14 | 4 | 8 | 8 | სექტემბერი. | 5 | 16 | 7 | 5 |
| | 21 | 5 | დ | დ | | 12 | 17 | 8 | 6 |
| აღდგომა. | 28 | 1 | ღ | ღ | | 19 | 18 | 1 | 7 |
| | | | | | | 26 | 19 | 2 | 8 |
| აპრილი. | 4 | 2 | 2 | 1 | | | | | |
| | 11 | 3 | 3 | 3 | ოქტომბერი. | 3 | 20 | 3 | 9 |
| | 18 | 4 | 4 | 4 | | 10 | 21 | 4 | 10 |
| | 25 | 5 | 5 | 7 | | 17 | 22 | 5 | 11 |
| | | | | | | 24 | 23 | 6 | 1 |
| მაისი. | 2 | 6 | 6 | 8 | | 31 | 24 | 7 | 2 |
| ამაღლება. | 6 | — | ღ | ღ | ნოემბერი. | | | | |
| | 9 | 7 | 7 | 10 | | 7 | 25 | 8 | 3 |
| | 16 | 8 | 1 | ღ | | 14 | 26 | 1 | 4 |
| | 23 | 1 | 8 | 1 | | 21 | 27 | 2 | 5 |
| | 30 | 2 | 1 | 2 | | 28 | 28 | 3 | 6 |
| ივნისი. | | | | | დეკემბერი. | | | | |
| | 6 | 3 | 2 | 3 | | 5 | 29 | 4 | 7 |
| | 13 | 4 | 3 | 4 | | 12 | 30 | 5 | 8 |
| | 20 | 5 | 4 | 5 | | 19 | 31 | 6 | 9 |
| | 27 | 6 | 5 | 6 | | 26 | 32 | 7 | 10 |

7 136

იმის შესახებ თუ რომელ რიცხვს რომელი კვირიაკეა, ხმა და საცისკრო სახარება?

# განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ოჩ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» | 6 თვით «მწყემსი» 2მ. |
| სამკურნალო ფურცლის | |
| დამატებით — 4 მ. | — „ რუსული „ 2» |
| — „ რუსული „ 3 მ. | |
| — „ ორივე გამოცემა 5» | — „ ორივე გამოცემა 3» |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში** რედაქციაში, **ქუთაისში** ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, **ახალსენაკში**—ბლაღოჩინ მამაარ. კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დ. **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

---

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის

## „ცნობის ფურცელი“

სურათებიანი დამატებით კვირაში რჯელ

(წელიწადი მეცხრე)

გაზეთის ფასი გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლით 6 მ. 6 თვით 4 მ. 1 თვით 50 კაპ., სამზღვარ-გარეთ ერთი წლით 9 მან., 6 თვით 5 მ., 1 თვით 90 კ.

თვიური ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მომწერისთანავე 4 მ. დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

---

ყოველ თვიური ჟურნალი

## „მოამბე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალის გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 10 მან. 6 თვით 6 მ. 3 თვით 3 მან. სამზღვარ-გარეთ: ერთი წლით 13 მანეთი, 6 თვით—7 მან., 3 თვით—5 მ.,

ვინც „მოამბეს“ მთელი წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით უფასოთ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატოს 1 მან., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილ.

**წლიური ფასის** განაწილება ორივე გამოცემაზე: პირველად 6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მან. 1-ლ აგვისტომდე—3 მან.

**რორორც «ცნობის ფურცლის» ისე «მოამბის»** მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ, ბრემიად გაეგზავნებათ ყველა ნაწერები

## ალ. უაზგეგისა

1904 წელს „ცნობის ფურცლის დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურარებისა „საქთველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათემში“, დასურათება დაიწყება **ბურიიდან.** სურათები იქნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ.

გარდა ამისა „მოამბის“ ხელის-მომწერთ გაებზავნებათ წლის განმავლობაში

## ოთხი საუმაღვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

**ოთხი წიგნი შეადგენს 250 გვერდს.**

წლიური ფასის გარდა, ქალაქ-გარედ ხელის-მომწერლებმა პრემიის გასაგზავნად რედაქციას უნდა გამოუგზავნონ ფოსტის ხარჯად 55 კ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოტემათა დაკვეთის მსურველთ, 25 დაკემბრამდე დაიკვეთონ, რომ კონტორამ მოასწროს აღრესების დამზადება და არ დაგვიანოს გამოტემათა გაგზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

3—3

---

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

(წელიწადი მეთორმეტე)

გამოვა 1904 წელსაც ყოველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი **ტფილისში**: ერთი წლით ღირს 7 მან. ნახევარი წლით 3 მან. 50 კაპ., სამი თვით—2 მ. თითო ნომერი—15 კაპ. **ტფილისს გარეთ**: ერთი წლით ღირს 8 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფასი ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში «წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით «კვალის» რედაქციაში.

(რუსის ბაზარი, საეკკლესიო სახლებში).

ტფილისს გარეთ:

ქუთაისში: მიტროფანე ლადიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ღა ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალსენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში, ჭიათურაში—კალ. ჭიჭინაძესთან და გ. ბერიძესთან; უვირილაში ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძველ სენაკში არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში დომენტი შავიშვილთან; საბუნჩაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“

3—3

---

# 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

გამოვა იმავე სიფრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოყელს ღონისძიებას ხმარობს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთს გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციის სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდენ თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა ისევ **თუმანია** ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრ. ლ. ნ. ტოლსტოის რომანი «**აღდგომა**» («ВОСКРЕСЕНІЕ»).

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ- უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოწაფეთ და ყველა ხელოსანს.

**ხელის მოწერა მიიღება:**

ტფილისში: „ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა).

ქუთაისში: ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნჩაში: პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში: პართენ ნასიძესთან.

განჯაში: სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

ბორში: ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція «Иверіа».

3—3

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

ფასი წელიწადი მე-15-ტე

გამოვა 1904 წელსაც თვეში ერთხელ. ეურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში“ მონწილეობს მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანვრიდამ დაიწყება ბეჭდვა ინგლისელ მწერლის მარკ ტვენის მოთხრობისა: ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი. წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მომწერლებს დაურიგდება ბრემიათ დასურათებული ზღაბრების კრებული.

ეურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირს 4 მან. ქალაქ გარედ 5 მ. ცალკე ნომერი 50 კ.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში „წერაკითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ დედაქციაში (Артиллерійская ул. № 5). ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, ред. груз. дѣтскаго журнала Джеджили.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

# ქუთისში

## ს. მ. ბ. თოთეფერიას

## საავადმყოფოში,

რომელიც იმეოფება მათი უმაღლესობის ბრინცალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია ძინაკან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმეოფთათვის, მშობიარეთა განეოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმეოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე. (წ)

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლის ეურნალ

# მოგზაურზედ

გარდა ეურნალისა, რომელშიაც მოთავსებული იქნება საპედაგოგიო, სამეურნეო, სამეცნიერო და საისტორიო-საეტნოგრაფიო წერილები, 1904 წლის ხელის მომწერლებს გაეგზავნება მუქთად

## ხუთი პრემია

1) **დიდი სურათი ნიკოლოს გარათაშვილისა,**
2) **„მსოფლიო სურათები“,**
3) **„სრულიად საქართველოს გეოგრაფია“,**
4) **„სამეურნეო-საოჯახო ნარკვევი“,**
5) **„სამკურნალო და საჰიგიენო ნარკვევი“,**

ადრესი: Въ Тифлисъ, Редакціи «Могзаури».

3—2

**ყვირილაში** გალობის მასწავლებელი სერგეი ჯინჯველაშვილი ასწავლის ქართულს საეკკლესიო და საერო გალობას ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: ვასილ მაჭავარიანის სახლი— ზედა ხიდის პირდაპირ.

ამით ვაუწყებ პატივცემულ საერო და სამღვდელო წოდებას, რომ მე გავხსენი დაბა ყვირილაში სადურგლო კანკელისა და იკონოსტასების დასამზადებლად. კანკელებს, ცალკე სამეუფეო კარებსაც ვიღებთ ძლიერ იაფად. იმედი გვაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება და სამღვდელოება ჩვენი ნაკეთებით არ დარჩება უკმაყოფილო.

იკონოსტასის მკეთებელი ტ. ჯიშკარიანი.



რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою* Архимандритъ Георгій января 30 *1904 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.